ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იზა ვაშაკიძე

საქართველოს საპარლამენტო დედაქალაქის პოლიტიკური გეოგრაფია: სახელმწიფოებრივი მშენებლობა ქუთაისში

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: დავით სიჭინავა

ასისტენტ-პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

2012 წელს მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოს ისტორიაში, მთავარმა საკანონმდებლო ორგანომ, საქართველოს პარლამენტმა, ადგილმდებარეობა შეიცვალა და დედაქალაქიდან 230 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ქუთაისში, ახალ შენობაში გადავიდა. 2019 წლის იანვარში კი იგი კვლავ თბილისს და პარლამენტის ძველ შენობას დაუბრუნდა. პარლამენტის ქუთაისში გადატანის ინიციატორი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ქვეყნის სათავეში მყოფი პოლიტიკური პარტია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იყო. პარლამენტის თბილისში დაბრუნების გადაწყვეტილება კი პარლამენტის უმრავლესობაში მყოფმა პარტია ,,ქართულმა ოცნებამ'' მიიღო. მისი დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საკითხს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალურობა. ხშირად ისმის კითხვები: რატომ გადაწყდა პარლამენტის უკან დაბრუნება? რა ელის ქუთაისის პარლამენტის შენობას? ტყუილად ხომ არ გაიფლანგა დიდი ოდენობით თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან? რა ზიანი მიადგა ქუთაისს პარლამენტის თბილისში გადმოტანით? და ა.შ. სწორედ ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემას შეეცდება აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი.

პარლამენტის დასავლეთ საქართველოში გადატანამ და შემდეგ თბილისში დაბრუნებამ გარკვეული კვალი დატოვა ქუთაისის სახელმწიფოებრივ განვითარებაზე. ნაშრომის მიზანია, ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვისა და ჩატარებული კვლევის საფუძველზე, დაადგინოს რა გავლენა აქვს ქალაქის განვითარებაზე მისთვის საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებას და როგორია ეს გავლენა ქუთაისის მაგალითზე. კვლევამ აჩვენა, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანამ დადებითი მოლოდინები შექმნა ადგილობრივ მოსახლეობაში, კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხით. მათ გაუჩნდათ განვითარებისა და წინ სვლის იმედი. თუმცა, განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, პარლამენტის ხანმოკლე მოღვაწეობა ქუთაისში კი ამისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ნაშრომის ამოცანაა დაადგინოს რა მიზნებს ემსახურებოდა პარლამენტის ადმინისტრაციული დედაქალაქიდან გადატანა და რამდენიმე წელიწადში მისი უკან დაბრუნება, როგორი ზეგავლენა მოახდინა ამ მოვლენამ ქუთაისის ინფრასტურქტურულ

და ეკონომიკურ განვითარებაზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე და ზოგადად, საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ნაშრომში, ასევე განხილულია ქუთაისის პარლამენტის შენობა, როგორც პოლიტიკური არქიტექტურის ძეგლი და მისი ამჟამინდელი ფუნქციის საკითხი.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ობიექტები არიან სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, ასევე საკითხის კვლევით დაინტერესებული სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. კვლევის საგანს წარმოადგენს ქალაქი ქუთაისი და ქუთაისის ყოფილი პარლამენტის შენობა.

დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი ძირითადი მიგნებები და დასკვნები მოგვცემს საპარლამენტო დედაქალაქის ქუთაისში გადატანის და შემდეგ მისი დედაქალაქში დაბრუნების პროცესის საბოლოო შეფასების საშუალებას.

Annotation

In 2012, an important event occurred in the history of Georgia. The main legislative body of the Parliament of Georgia changed its location and moved to the new building in Kutaisi, 230 kilometers away from the capital. In January 2019, the parliament was relocated again, now back to Tbilisi. The initiator of the transfer of parliament to Kutaisi, was the political party the “United National Movement”, which was in power until the parliamentary elections in 2012. The decision of returning back of the parliament to Tbilisi was received by the party "Georgian Dream", which was the governing party. Due to its great importance, the issue has not lost its actuality. Georgians often ask questions regarding the parliament: What was behind the decision of moving the parliament back to Tbilisi? What will happen to the building of Kutaisi parliament? Were large sums of public funds spent in vain or not? What was the damage caused to Kutaisi as the Parliament was moved back to Tbilisi? This master's thesis intends to answer these questions.

The withdrawal of the Parliament in west Georgia and then returned to Tbilisi has left some traces on state development of Kutaisi. The purpose of the work is to determine the impact of the status of the parliamentary capital on the city's development, on the example of Kutaisi, which is based on the review and analysis of the conducted research and existed literature about this issue. Transfer of Parliament to Kutaisi has created positive expectations in the local population, in terms of improvement of welfare. They had the prospect of development and progress. However, development is a difficult and long process, and Parliament’s short-term work in Kutaisi has not been enough.

The task of the work is to determine what goals were to serve to transfer of the parliament from the administrative capital and to return it back in a few years, how this event has influenced Kutaisi's infrastructure and economic development, local population and the political life of Georgia in general. The paper also discusses Parliament building of Kutaisi as a monument of political architecture and its current function.

The research materials presented in the paper are representatives of the state and non-state structures, as well as representatives of the scientific community interested in the research and local population. Kutaisi and Kutaisi former Parliament building are the subject of research.

The findings and conclusions presented in the final part of the work will give us the ultimate summarization of the process of transferring the parliamentary capital to Kutaisi and then its returning to capital.

MA thesis. Vashakidze Iza - Political geographies of Georgia's parliamentary capital: state-building in Kutaisi

სარჩევი

შესავალი 7

1. თავი. ლიტერატურის მიმოხილვა 10

1.1 დედაქალაქის სიმბოლური მნიშვნელობა და მისი როლი პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში. 10

1.2 დედაქალაქის ადგილმდებარეობის და მისი გადატანის მნიშვნელობა 14

1.3 პოლიტიკური არქიტექტურა 19

2. თავი. სახელმწიფოებრივი მშენებლობა ქუთაისში 24

2.1 ქუთაისის სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიული მიმოხილვა 24

2.2 ქუთაისი და საქართველოს სახელმწფოებრივი მშენებლობა ოცდამეერთე საუკუნეში 26

2.2.1 პარლამენტის ქუთაისში გადატანა 26

2.2.3 პარლამენტის თბილისში დაბრუნება 30

2.3 ქუთაისის პარლამენტის შენობა - არქიტექტორული სიმბოლიზმი და პოლიტიკური დატვირთვა 31

3. თავი. კვლევის შედეგები და ანალიზი 35

3.1 კვლევის მეთოდოლოგია 35

3.2 თვისობრივი კვლევის შედეგების ანალიზი 36

3.3 ჩართული დაკვირვების შედეგების ანალიზი 43

4 თავი. კვლევის შედეგების ანალიზის შეჯერება თეორიულ მიდგომებთან 46

დასკვნა 50

გამოყენებული ლიტერატურა 53

დანართი 56

შესავალი

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომი აღწერს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, კერძოდ - ქვეყნის საპარლამენტო დედაქალაქის ცვლილებას. ტექსტში შეფასებულია ამ ცვლილების გავლენა ამ მოვლენის ეპიცენტრზე - ქალაქ ქუთაისზე.

დედაქალაქი ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრია, სადაც კულტურულ და ინტელექტუალურ რესურსთან ერთად, ხდება მმართველი ძალის მობილიზება. სხვადასხვა მიზეზების გამო, ხშირად პოლიტიკურ მმართველებს დედაქალაქი ერთი ქალაქიდან მეორეში გადააქვთ. ეს ქმედება შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებამ, სოციალური ცვლილებების გატარების სურვილმა, ან ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სურვილმა.

ერთიანი საქართველოს ისტორიაში, X საუკუნიდან მოყოლოებული, პირველ და გამაერთიანებელ დედაქალაქად ქალაქი ქუთაისი გვევლინება. სწორედ მის ირგვლივ მოხდა ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება. ქუთაისმა დედაქალაქის სტატუსი 1122 წლამდე შეინარჩუნა, სანამ დავით აღმაშენებელი მას არაბებისგან ახლად განთავისუფლებულ თბილისს მიანიჭებდა. დედაქალაქის გადატანა ქუთაისიდან თბილისში პოლიტიკური ცვლილებების საფუძველზე მოხდა.

1991 წელს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილება მოხდა საქართველოს ისტორიაში, ქვეყანამ დატოვა საბჭოთა კავშირი და აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელი ქვეყნის დედაქალაქად თბილისი გამოცხადდა. დედაქალაქის გადატანის კიდევ ერთი მცდელობა 2012 წელს უკავშირდება, როდესაც ქვეყნის იმდროინდელმა მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, ქუთაისისთვის საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭება და მისი მეორე დედაქალაქად გამოცხადება გატაწყვიტა. მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, 2019 წელს პარლამენტი კვლავ თბილისს დაუბრუნდა. საპარლამენტო დედაქალაქის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა

გარკვეული კვალი დატოვა მისი სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიაში, რის შეფასებასაც შეეცდება აღნიშნული ნაშრომი.

ჯერჯერობით, ნაკლებად მოიპოვება რაიმე ტიპის კვლევითი ნაშრომი, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ამ მოვლენის სხვადასხვაგვარი შეფასება, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მას. კვლევის მთავარი მიზანია დაგვანახოს რა ცვლილებები მოუტანა ქუთაისს საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებამ და პარლამენტის ახალი შენობის აშენებამ. რა გავლენა იქონია ამან ქუთაისის სახელმწიფოებრივ განვითარებაზე და ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკური და სოციალური იდენტობის ჩამოყალიბებაზე.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის რამდენიმე მეთოდი, რომელიც ნაშრომში დასახული ამოცანების განხორციელების საშუალებას იძლევა. უცხოური ლიტერატურის მიმოხილვისა და სხვადასხვა სამეცნიერო სტატიების მიმოხილვის საფუძველზე, საშუალება გვეძლევა ქუთაისის კონკრეტული შემთხვევა შევადაროთ სხვა ქვეყნების მაგალითს. გარდა ამისა, გავაანალიზოთ, რას ემსახურებოდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა პარლამენტის დედაქალაქიდან გადატანას. ქუთაისში ჩატარებული თვისობრივი კვლევის ანალიზის საფუძველზე დავადგენთ ადგილობრივი მოსახლეობის განწყობებს, შეხედულებებს, მათი ჩართულობის დონეს ამ საკითხში და იმას, იქონია თუ არა გავლენა მათ კეთილდღეობზე საკანონმდებლო ორგანოს გადატანამ ქუთაისში, შემდეგ კი კვლავ თბილისში დაბრუნებამ. საკითხის სრულად გააზრებაში დაგვეხმარება ჩართული დაკვირვების მეთოდი, რომელიც ნათლად ასახავს ქალაქის ამჟამინდელ მდგომარეობას.

როგორც კვლევამ აჩვენა, პარლამენტის ქუთაისში გადატანამ გარკვეული მოლოდინები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, გაუჩნდათ საქმის კეთების სტიმული. დაიწყო ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება. პარლამენტის შენობის თანამედროვე არქიტექტურა ახალი აღმოჩნდა ქალაქის ურბანული განაშენიანებისთვის. ქუთაისი ხშირად მოიხსენიებოდა საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსით, რაც ზრდიდა მის ცნობადობასა და მისდამი ინტერესს. ამ ყველაფერმა ვერ გადაწონა ახლანდელი მთავრობის მიერ წამოყენებულ არგუმენტებს, რაც დამატებით ხარჯებს და მთავრობის

შეფერხებულ მუშაობას უკავშირდება. საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებით გამოწვეული დადებით მოლოდინების გამართლებისთვის ექვსი წელი საკმარისი არ აღმოჩნდა.

1. თავი. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 დედაქალაქის სიმბოლური მნიშვნელობა და მისი როლი პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში.

დედაქალაქი ქვეყნის, სახელმწიფოს, პროვინციის ან სხვა ადმინისტრაციული რეგიონის მთავარი ქალაქია, რომელსაც სტატუსი მინიჭებული აქვს იურიდიულ საფუძველზე. როგორც წესი, დედაქალაქში განთავსებულია სახელმწიფო ადმინისტრაცია და ეროვნული მთავრობა. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად შესაძლებელია მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურა ქვეყნის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მდებარეობდეს და არ იყოს მხოლოდ ერთ ქალაქში თავმოყრილი. ამის მიხედვით განასხვავებენ ოფიციალურ (კონსტიტუციურ) დედაქალაქს და ადმინისტრაციულ (სამთავრობო დედაქალაქს/რეზიდენციას) (სადაც თავმოყრილია ძირითადი სამთავრობო სტრუქტურები). აქ განლაგებულია ეროვნული ინსტიტუტების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი) შენობები, სასამართლო, საელჩოები და ა.შ. სწორედ ამიტომ დედაქალაქი ხშირად ხდება ძირითადი ოპოზიციური ძალების დასაყრდენი, სადაც ისინი ახდენენ მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ძალების მობილიზებას. გარდა პოლიტიკური შემადგენელისა, დედაქალაქი ხშირად ინტელექტუალურ ცენტრადაც გვევლინება. ასევე, იგი წარმოადგენს ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ ცენტრს. ეს ყველაფერი მას გამოარჩევს და გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს ქვეყნის სხვა ქალაქებთან შედარებით (Bekker; Therborn, 2012).

დედაქალაქი ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ერის და სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. ეს ორივე პროცესი წარმოადგენს როგორც სიმბოლურ მოძრაობას, ასევე ძალაუფლების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების გზების ძიებას. საკუთარი ძალაუფლების წარმოსაჩენად ერი-სახელმწიფო იყენებს ურბანულ ლანდშაფტს და დედაქალაქის სივრცით ფორმას. ძალაუფლების გამოხატვის სხვადასხვა სახეები არსებობს, ეს შეიძლება იყოს ქალაქის არქიტექტურა, ასევე საჯარო მონუმენტები, ქუჩისა და საჯარო სივრცეების სახელწოდებები და სხვა. ისინი ხალხზე შთაბეჭდილების მოსახდენად იქმნება. ძალაუფლების მქონე ინდივიდების, პოლიტიკური იდენტობის და

იდეოლოგიის ცვლილებას თან ახლავს ძალაუფლების გამოხატვის ფორმების ცვლილება. დედაქალაქი ამგვარი ცვლილებების ამსახველი ობიექტების საგამოფენო არეალს წარმოადგენს. დედაქალაქის ლანდშაფტისა და გარემოს მშენებლობაში წინასწარ განსაზღვრული სიმბოლიზმი არ არსებობს, იგი ძალაუფლების კონტროლისა და ხელისუფლების ცვლილების კვალდაკვალ იცვლება (Bekker; Therborn, 2012).

მე-19 საუკუნის ბოლოს ევროპის დედაქალაქებში ჩამოყალიბდა ძირითადი არქიტექტურული და იკონოგრაფიული (რაც გულისხმობს სიუჟეტების ან პირების გამოსახულებების სისტემატურ შესწავლას) მახასიათებლები, ისინი ოთხი ძირითადი ელემენტისაგან შედგება:

- ცენტრალური ეროვნული სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის შენობა-ნაგებობების აგება, ერი-სახელმწიფოს სიდიადის გადმოსაცემად.
- ძირითადი ქუჩების განლაგება ძვირადღირებული კომერციული საქმიანობისთვის და მსვლელობების ჩასატარებლად.
- ელიტარული კულტურის ეროვნული ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ეროვნული იდენტობის სიმბოლიზება ეროვნული მემკვიდრეობის საშუალებით.
- ურბანული სივრცის პოლიტიზაცია და მონუმენტალიზაცია.

ამ ელემენტების გათვალისწინების შედეგად დედაქალაში ყალიბდება ძალაუფლების ლანდშაფტი. ამ უკანასკნელის თავისებურებების განხილვა კი გვაძლევს ეროვნული და სახელმწიფო შენობების მნიშვნელობის ანალიზის და შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას. (Bekker; Therborn, 2012, pp. 2-3)

თანამედროვე იმპერიებისა და ერი-სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად დედაქალაქი გახდა სახელმწიფოსა და მთავრობის სიმბოლო. პოლიტიკური ძალაუფლება მრავალგვარ სახეს იღებს. მისი გამოვლენა ხდება ქარიზმატული ლიდერის მეშვეობით, სამხედრო რეჟიმის დამყარებით, ღრმად ფესვგადგმული ბიუროკრატიით, სხვადასხვა კანონებისა და წესების შემოღების გზით. ზოგი პოლიტიკური რეჟიმი კი ძალაუფლების გამოსახატავად ფიზიკურ გარემოს იყენებს, რაც უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს სამიზნე ჯგუფზე. თუ გადავხედავთ ისტორიას ვნახავთ, რომ მთელი მსოფლიოს

მასშტაბით არქიტექტურა და ურბანული დიზაინი პოლიტიკის სამსახურში იმყოფებოდა და დღემდე ასე გრძელდება (Vale, 1992).

დედაქალაქის სიმბოლურ მნიშვნელობაზე და მისი გამოხატვის გზებზე საუბრობს შვედი მეცნიერი გორან ტერბორნი საკუთარ ნაშრომში "Monumental Europe: The National Years. On the Iconography of European Capital Cities" (2002). იგი აქცენტს აკეთებს კოლექტიურ იდენტობაზე, რომელიც ხელოვნებისა და ძალაუფლების, რიტუალური და ურბანული დიზაინის, არქიტექტურისა და გამოსახულების ურთიერთკვეთის შედეგად ყალიბდება. ეს ერთგვარი (მმართველი ძალის მხრიდან) „შეკვეთილი" იდენტობაა, რომელიც ხელს უწყობს ვინმესადმი ან რაიმესადმი მიკუთვნებულობის გრძნობის გამძაფრებას, მის როგორც წინამძღვრად და სამაგალითოდ მიჩნევას. როგორც ზემოთ აღინიშნა, დედაქალაქები პოლიტიკური ძალაუფლების მანიფესტაციას წარმოადგენენ, მათ ევალებათ საკუთარი ქვეყნის პოლიტიკისა და ქვეყნის/ხალხის წარმოჩენა. ამ სიმბოლიზმის ემპირიული გამოვლენა ოთხი ძირითადი მიმართულებით ხდება: სივრცითი განლაგებით, არქიტექტურული ნიმუშებით, საჯარო მონუმენტებით და საჯარო სივრცის ნომენკლატურით (Therborn, 2002).

ლოურენს ვეილი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი ურბანული დაგეგმარებისა და დიზაინის მიმართულებით, თავის წიგნში "Architecture, Power, And National Identity" (1992), აღწერს თანამედროვე დედაქალაქის სიმბოლურ როლს. მისი თქმით, თანამედროვე დედაქალაქი, რომელიც ერი-სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად გაჩნდა, ეროვნული მთავრობის მიერ გამოიყენება, როგორც პრაქტიკული (სამუშაო ადგილი), ასევე სიმბოლური (ძალაუფლების სიმბოლური გამოხატვის არეალი) თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის წარმოჩენას, რაც მას გამოარჩევს სხვა ქალაქებისგან. ჯერ კიდევ ანტიკური იმპერიების არსებობის დროს დედაქალაქი თავისი ბრწყინვალებით ემსახურებოდა მმართველი ინდივიდების თუ ჯგუფების ძალაუფლების ლეგიტიმაციას. ყველა დედაქალაქი, უძველესი ციტადელიდან მოყოლებული, იყენებდა სიმბოლური გამოხატვის საშუალებებს, განადიდებდა იმჟამინდელ მმართველ ელიტას და ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობის იდენტობის ჩამოყალიბებაზევა. თანამედროვე დედაქალაქის სიმბოლური დატვირთვა კი კიდევ უფრო გაზრდილი და კომპლექსურია.

იგი ერთგვარი მედიატორის როლს ასრულებს იმ ადამიანთა ერთობაში, რომელიც აღიარებული უნდა იყოს როგორც ერთიანი სუვენერული სახელმწიფო. ადრეულ პერიოდში დედაქალაქის შერჩევა განისაზღვრებოდა წმინდა ადგილების, თავდაცვითი ნაგებობების ან სავაჭრო მარშრუტების მდებარეობით, თანამედროვეობაში კი მისი შერჩევა ყველაზე ხშირად პოლიტიკური აქტორების ინტერესების გათვალისწინებით ხდება. ასეთ გადაწყვეტილებას შეიძლება ჰქონდეს როგორც ეთნიკური, ასევე რელიგიური ქვეტექსტი, ან გამოწვეული იყოს პოლარიზებული ურბანული ეკონომიკის განვითარების სურვილით. ანტიკური ციტადელის მსგავსად თანამედროვე დედაქალაქიც დაპირისპირებების ცენტრი უფროა, ვიდრე კონსესუსების (Vale, 1992, გვ. 15-16).

თანამედროვე დედაქალაქი წარმოადგენს მთავრობის ადგილსამყოფელს. საპარლამენტო დემოკრატიის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მმართველობის ყველა დონეზე ჩართული ადამიანების რაოდენობა. სამთავრობო შენობის ცნება ჯერ კიდევ ანტიკური რომიდან მომდინარეობს, ხელისუფლების ბიუროკრატიის სწრაფი განვითარება კი ბოლო ასწლეულის ფენომენია. ადრინდელი სამმართველო ქალაქები სამეფო სასახლეებით პატარა, თვითკმარ ურბანულ არეალებს წარმოადგენდნენ. ხოლო ქალაქების მოწყობა, მთავრობის ადმინისტრაციის საგამოფენო არეალად, თანამედროვე იდეაა. მას აქვს ცერემონიალური დატვირთვა, გარდა ამისა, აქ მუშაობს ათასობით ბიუროკრატი, რომელიც დასაქმებულია აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებში, სასამართლოში, დიპლომატიური მიმართულებით და ა.შ. მთავრობის მასშტაბებისა და სტრუქტურის ცვლილება ხშირად კავშირშია ნაციონალიზმის აღორძინებასთან, სწორედ აქედან იწყება თანამედროვე დედაქალაქის განვითარება (Vale, 1992).

შედეგად, დედაქალაქი წარმოადგენს ძალაუფლებისა და იდეოლოგიური მიღწევების წარმოჩენის არეალს. მათი წარმოჩენა ყველაზე ეფექტურად ფიზიკური გარემოს საშუალებით, მისი სიმბოლიზების გზით ხდება. თუმცა, სიმბოლიზმი იცვლება ძალაუფლების კონტროლისა და ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, რაც გავლენას ახდენს პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებაზე. კოლექტიური იდენტობის სხვადასხვა გზებით წარმოჩენა ხელს უწყობს მოქალაქეების მიკუთვნებულობის

გრძნობის განმტკიცებასა და გაძლიერებას. აქედან გამომდინარე, დედაქალაქს თავისი პოლიტიკური სიმბოლიზმით დიდი წვლილი მიუძღვის მოქალაქეების პოლიტიკური იდენტობის ჩამოყალიბებაში.

1.2 დედაქალაქის ადგილმდებარეობის და მისი გადატანის მნიშვნელობა

დედაქალაქები უბრალოდ არ არსებობენ, ისინი წარმოადგენენ ადამიანის ნების სხვადასხვა გამოვლინებას და ისტორიული გარემოების ნაყოფს. კონკრეტული დედაქალქის კონკრეტულ დროსა და ადგილას ყოფნა დამოკიდებულია უამრავი სახის ურთიერთდაპირისპირებულ ძალათა შორის ბალანსის გადანაწილებაზე. დედაქალაქის ადგილმდებარეობა შეიძლება მრავალი ფაქტორით განისაზღვროს: კლიმატი, რაც მის ბუნებრივ სილამაზეს და მიმზიდველობას განსაზღვრავს; გეოპოლიტიკური სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს რამდენად ახლოს/შორს უნდა იყოს დედაქალაქი „მგრძნობიარე“ საზღვრისგან, საიდანაც საფრთხე მომდინარეობს; ცენტრალური მდებარეობა სხვა ადმინისტრაციული ერთეულების მიმართ, მოსახერხებელი ხელმისაწვდომობისთვის; საერთაშორისო სავაჭრო მარშრუტებთან სიახლოვე; რეგიონულ განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენა, რამაც შესაძლებელია დიდი სხვაობა გამოიწვიოს დედაქალაქისა და ქვეყნის სხვა ქალაქების განვითარების დონეებს შორის; ეს შეიძლება იყოს ადგილობრივი ლიდერის ავტოკრატიული განკარგულება; იგი შეიძლება წარმოადგენდეს რეგიონული და ეთნიკური ერთობების შემაკავშირებელ ცენტრს, ან ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორეს დაძლევის გამოხატულებას; დედაქალაქის მდებარეობა ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს მისი საერთაშორისო ხილვადობის მაქსიმალურ გაზრდას თუ სხვა ადგილობრვ და რეგიონულ მიზეზებს. დედაქალაქის არჩევა ყოველთვის წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ურთიერთკონკურენტულ (ხშირად ურთიერთგამომრიცხავ) ფაქტორებს შორის გარკვეული სახის კომპრომისის შედეგს.

გეოგრაფები და ისტორიკოსები განასხვავებენ „ბუნებრივ“ (თავისთავად განვითარებულ) და „ხელოვნურ“ დედაქალაქებს. პირველ მათგანს მიეკუთვნება ისეთი დედაქალაქები, რომლებიც თავისთავად ჩამოყალიბდნენ როგორც დედაქალაქი. ხოლო

მეორე შემთხვევაში, ისინი სპეციალურად შეიქმნა, რათა დედაქალაქის ფუნქცია შეესრულებინა. თუმცა, ამგვარი დაყოფა არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც დედაქალაქად გამოცხადებას უკავშირდება, განზრახ გადადგმული ნაბიჯია, ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე. დედაქალაქად ერთბაშად თუ თანდათან ჩამოყალიბება ყოველთვის უკავშირდება სხვადასხვა ფიზიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოტივებს. (Vale, 1992)

ქვეყნის შიგნით და მის ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პროცესები აისახება ქვეყნის დედაქალაქზე, რაც ზოგჯერ განაპირობებს დედაქალაქის საფუძვლიან გარდაქმნას, ან საერთოდ, მის სხვა ქალაქში გადატანას. დედაქალაქის ერთი ქალაქიდან მეორეში გადატანას მრავალ ფაქტორი განაპირობებს. როგორც წესი, ამ პროცესის მთავარი მიზანია მოხდეს ხალხის იდენტობის ხანგრძლივვადიანი ტრანსფორმაცია. ქალაქი და ურბანული გარემო წარმოადგენს ერთგვარ „წარმოსახვით თემს“, სადაც იწრთობა და ყალიბდება ინდივიდის იდენტობა. ქალაქში მცხოვრები ყველა ადამიანი არ იცნობს ერთმანეთს, თუმცა ისინი საერთო არქიტექტორულ დიზაინს, სიმბოლურ კონტექსტსა და გრძნობებს იზიარებენ. რაც გავლენას ახდენს მათი იდენტობის ჩამოყალიბებაზე. აქედან გამომდინარე, დედაქალაქის შეცვლა ვერ იქნება მხოლოდ მექანიკური პროცესი. იგი დიდ გავლენას ახდენს, პირველ რიგში, ადგილობრივ მოსახლეობაზე, მათი შეხედულებების და იდენტობის ჩამოყალიბებაზე და ასევე ზოგადად ქვეყნის იმიჯზე (სახეზე) საერთაშორისო თვალსაზრისით (Mtkrchyan, 2017).

მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებშიც სახელისუფლებო ძალაუფლება ერთის ნაცვლად, ორ ან სამ დედაქალაქშია გადანაწილებული. ასეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, მაგალითად, ნიდერლანდები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, შრი-ლანკა, ჩილე და სხვა. თითოეულ შემთხვევაში, განსხვავებულია ისტორიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონტექსტი იმისა, თუ რატომ აქვთ მათ ერთზე მეტი დედაქალაქი. თუმცა, საერთო მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ სახელისუფლებლო ძალაუფლების დეცენტრალიზაციისა და ამავდროულად, ქვეყნის ერთიანობის განმტკიცების სურვილი. მით უმეტეს, იმ შემთხვევაში თუ ქვეყანას რამდენჯერმე აქვს დედაქალაქი შეცვლილი და

მთავრობას არ სურს რომელიმე „ყოფილი“ დედაქალაქის მოსახლეობა ე.წ. თამაშგარე მდგომარეობაში დატოვოს.

ნარეკ მკრტჩიანი (2017), თავის ნაშრომში „Nation-building projects through new capitals: from St. Peterburg to Yerevan and Astana” (2017), აღწერს დედაქალაქის გადატანის მნიშვნელობასა და მიზეზებს რამდენიმე ქვეყნის მაგალითის საფუძველზე. იგი განიხილავს რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და ყაზახეთის მაგალითებს.

რუსეთის მეფემ პეტრე პირველმა 1713 წელს დედაქალაქი თავისივე დაარსებულ ქალაქში სანქტ-პეტერბურგში გადაიტანა, რომელიც რენესანსის ურბანული პრინციპების თანახმად იყო აგებული, ევროპული ნეოკლასიკური შენობებითა და ხიდებით, ვერსალის მაგვარი საზაფხულო ბაღებით და ა.შ. ამით მას სურდა ხაზი გაესვა რუსეთის ვესტერნიზაციის პროცესისთვის, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დაახლოებისთვის დასავლეთ სამყაროსთან. ეს იყო ახალი რუსული ნაციონალიზმის დაბადების ადგილი, ევროპული „კუნძული“ რუსეთში.

იგივე ვესტერნიზაცია და ახალი ცივილიზაციური იდენტობის (civilizational identity) ჩამოყალიბება იყო თურქეთის დედაქალაქის გადატანა 1923 წელს სტამბოლიდან, რომელიც ოსმალეთის იმპერიის და ისლამური კულტურის სიმბოლოს წარმოადგენდა, ანკარაში, როგორც განახლებული იდენტობის მქონე ერი-სახელმწიფოს შექმნის ნიშანი. როგორც რუსეთში, ასევე თურქეთშიც ინიციატივა ქვეყნის პირველი პირისგან, მუსტაფა ქემალ ათათურქისგან მოდიოდა. თავდაპირველად დედაქალაქის გადატანა გეოპოლიტიკურ და სამხედრო უსაფრთოების საკითხს უკავშირდებოდა, მოგვიანებით კი ათათურქის მთავრობამ ეს მოვლენა გამოიყენა როგორც ისტორიული იდენტობის გადახედვის პროცესი, რითაც მოხდა ოსმალების თანამედროვე თურქებად გარდაქმნა. ანკარამ შექმნა იდეოლოგიური სივრცე თურქი ნაციონალისტებისთვის, თურქული სახელმწიფოს სტრუქტურული გარდაქმნის საფუძველზე. თურქეთის გარდაქმნის ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკა იყო სეკულარიზაცია, ისლამური და ოსმალური იდეოლოგიისგან განთავისუფლება.

ერევნის მშენებლობა 1920-იან წლებში ინოვაციური მოვლენა იყო, იქედან გამომდინარე, რომ ამოვარდნილი იყო კომუნისტური კონტექსტიდან. აქ მოხდა

არქიტექტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შერწყმა. ქალაქის მთავარმა ნეოკლასიკოსმა არქიტექტორმა ალექსანდრე ტუმანიანმა დიდი როლი ითამაშა საბჭოთა პერიოდში სომხური ცივილიზაციური იდენტობის ხელახლა განსაზღვრაში. ერევნის აღმშენებლობამდე აღმოსავლეთ სომხეთის კულტურული და პოლიტიკური ცენტრი იყო თბილისი, ხოლო დასავლეთ სომხეთის - მაშინდელი კონსტანტინოპოლი. გარდა ამისა, სომეხ ერსა და კულტურას დიდი ზიანი მიაყენა ოსმალების მიერ მოწყობილმა გენოციდმა. რის შედეგადაც ერევანი იქცა გენოციდის დროს დაკარგული ღირებულებების გამოხატვის ადგილად. ტუმანიანი შეეცადა ეჩვენებინა სომეხი ერის უტოპიური სურვილი - ეცხოვრა ევროპულ გარემოში (Mtkrchyan, 2017).

ყაზეხეთის ყოფილი დედაქალაქი ალმა-ათა იყო საბჭოთა პერიოდის სტილის ქალაქი, საბჭოთა შენობებით, ფართო ქუჩებითა და საბჭოური სიმბოლოებით. იგი ქვეყნის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ჩინეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს. რაც შეეხება ახალ დედაქალაქს, ასტანა (ნურ-სულთანი), რომელიც ქვეყნის შუაგულში მდებარეობს, მანამდე არსებული ცელინოგრადის ადგილას გაშენდა. იგი პოსტსაბჭოთა დროის ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური წარმოდგენების გამოხატვის ადგილს წარმოადგენს. დედაქალაქის გადატანა შეიძელბა აღვიქვათ როგორც მმართველი ელიტის სურვილი (როგორც რუსეთისა და თურქეთის მაგალითებშია) და ასევე როგორც ერთ-ერთი გეოპოლიტიკური იარაღი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალურ აზიაში გაჩნდა იდეოლოგიური ვაკუუმი, დიდი შანსი იყო ეს სიცარიელე ისლამურ იდეოლოგიას შეევსო. ნაზარბაევის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დედაქალაქის შეცვლის (1997 წ.) და ახალი ერის მშენებლობის თაობაზე იყო მცდელობა ახალი იდენტობის ჩამოყალიბების გზით ყაზახეთი რუსული და ისლამური ცივილიზაციური იდენტობების გავლენებისგან გაეთავისუფლებინა. დედაქალაქის შეცვლა ყაზახეთისთვის იყო ეროვნული, კულტურული, გეოპოლიტიკური და ფუტურისტული მნიშვნელობის მქონე. (Mtkrchyan, 2017)

ყაზახეთის მთავრობამ დედაქალაქის შეცვლის 30-ზე მეტი მიზეზი დაასახელა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ყაზახეთის ჩრდილოეთ ნაწილის ეთნიკური და

ლინგვისტური „გაყაზახება“, რაც მომავალზე ორიენტირებული ერის მშენებლობასაც მოიაზრებდა. ახალ დედაქალაქს უნდა შეეცვალა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ეთნო-დემოგრაფიული სურათი. გარდა ამისა, ეს გადაწყვეტილება განპირობებული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა: ყაზახეთის გეოპოლიტიკური გაძლიერება (ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება); დედაქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მისი გადატანა საგარეო საზღვრებისგან მოშორებით; ეკონომიკაში „მულტიპლიკატორის ეფექტის“ შექმნა; მთავრობის სტაბილური და მრავალეთნიკური ბუნების დამტკიცება მისი მრავალეთნიკურ რეგიონში მდებარეობით. გარე დამკვირვებლებმა ეს ქმედება აღიქვეს როგორც რუსული სეპარატიზმისგან თავდაცვის საშუალება. (Koch, 2013)

ასტანის არქიტექტურა მდიდარია ეთნიკური და სამოქალაქო არქეტიპებით, რომელიც პან-ყაზახური იდენტობის ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა. ასტანის მოდერნისტულ არქიტექტორულ შენობებს შორისაა სამთავრობო შენობები, მათ შორის საპრეზიდენო სასახლე, მშვიდობისა და რეკონსოლიდაციის სასახლე და სხვა. სამთავრობო შენობებს აქვთ პოტენციალი არამარტო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი, არამედ მხარი დაუჭირონ გარკვეულ პოლიტიკურ რეჟიმებსაც. შედეგად, ასტანა გახდა ერის მშენებლობის მნიშვნელოვანი სვეტი, რომელიც ეროვნული იდენტობის იდეებისა და მულტიკულტურალიზმის ჩამოყალიბების პროცესის სიმბოლურ სივრცეს წარმოადგენს (Koch, 2013).

როგორც აღინიშნა, დედაქალაქის ადგილმდებარეობას მრავალი განსხვავებული და ხშირად ურთიერთდაპირისპირებული ფაქტორის შეთანხმება განაპირობებს. აქედან გამომდინარე მისი გადატანაც რთული პროცესია და უკავშირდება სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების ცვლილებას. დედაქალაქის გადატანის ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოქალაქეების იდენტობის ხანგრძლივვადიანი ტრანსფორმაცია.

1.3 პოლიტიკური არქიტექტურა

შენობები, არქიტექტურილი ნამუშევრები და ზოგადად საქალაქო ლანდშაფტი ხშირად ემსახურება გარკვეული პოლიტიკური შეტყობინებებისა და სიმბოლოების გადმოცემას. მათი წაკითხვა სხვადასხვა ხერხებითაა შესაძლებელი, რომელსაც ამერიკელი ფილოსოფოსი ნელსონ გუდმენი თავის ნაშრომში „How Buildings Mean" გადმოგვცემს. გუდმენი არქიტექტორულ ნამუშევრებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებს ადარებს, როგორიცაა მუსიკა და მხატვრობა, რითიც ცდილობს, უკეთ დაგვანახოს ამა თუ იმ შენობის შეცნობის ხერხები (Goodman, 1985).

ხელოვნების სხვა დარგების ნამუშევრებისგან განსხვავებით, არქიტექტურული ნამუშევარი არ არის მოძრავი, იგი ერთ ადგილასაა დამკვიდრებული, მის ირგვლივ მყოფი ფიზიკური და კულტურული გარემო კი დროთა განმავლობასი იცვლება. გარდა ამისა არქიტექტურულ ნამუშევარს გააჩნია პრაქტიკული ფუნქციაც, როგორიცაა დაცვა და გარკვეული აქტივობების ხელშეწყობა. ეს ფუნქცია მის, ხშირად დომინირებად, ესთეტიკურ ფუნქციაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ამ ორ ფუნქციას შორის ურთიერთიერთკავშირი მერყეობს სრული დამოუკიდებლობიდან ორმხრივ ურთიერთგაძლიერებამდე და ურთიერთდაპირისპირებამდე (Goodman, 1985).

გუდმენის მოსაზრებით, შენობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად თუ ის სიმბოლური თვალსაზრისით რაიმეს აღნიშნავს. თუმცა, ყველა სიმბოლური ფუნქცია არ არის ესთეტიკური, ისევე როგორც ყველა სამეცნიერო ტრაქტატი ვერ იქნება ლიტერატურული შედევრის ნიმუში.

ზემოთხსენებულ ნაშრომში გუდმენი გვთავაზობს ოთხ ძირითად ხერხს, რითაც შეიძლება დავადგინოთ შენობისა და მისი სიმბოლური მნიშვნელობის ურთიერთკავშირი. პირველი მათგანია დენოტაცია (პირდაპირი მნიშვნელობა), რომელიც მოიცავს დასახელებას, ექსპოზიციას, ვიზუალური გამოხატვის საშუალებებს. ეს ხერხი სათქმელს პირდაპირ, ყოველგვარი შეფარვის გარეშე გვეუბნება. დენოტაციის თვალსაჩინო მაგალითებია სიდნეის ოპერის სახლი, რომელიც აფრებიან ნავებს ასახავს და საგრადა ფამილია ბარსელონაში, რომელიც მონსერატის მთებს განასახიერებს. მეორე ხერხი, რომელსაც გუდმენი მოიხსენიებს როგორც „exemplification", დენოტაციის

საპირისპიროა, იგი მიუთითებს შენობის თვისებებზე და არა თვითონ შენობაზე, როგორც ნაგებობაზე. ასევე ხშირად გამოიყენება მეტაფორული გამოხატვის ("metaphorical expression") ხერხი, რითაც ხაზი ესმება შენობის თვისებების გადატანითი მნიშვნელობით აღქმას და "mediated reference" (გაშუალებული მითითება), რომელიც მიუთითებს არქიტექტურული ნიმუშის ქვეტექსტზე, მასთან მიმართებით გაჩენილ ასოციაციებზე, იმაზე რაც გარეგნულად ნათლად არ ჩანს. (Goodman, 1985)

ბოლო ორი ათწლეულია გეოგრაფები იკვლევენ კოლექტიური მეხსიერებისა და ურბანული სივრცის ურთიერთკვეთას. კერძოდ, რა როლი უჭირავს სივრცეს კოლექტიური მეხსიერების ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ საკითხს ეხება ამერიკელი გეოგრაფების ოუენ დუაიერისა და დერეკ ალდერმანის სტატია "Memorial landscapes: analytic questions and metaphors". სტატიაში განხილულია სამი მეტაფორა, რისი მიხედვითაც ხდება მემორიალური ლანდშაფტის უკეთ აღქმა, გაგება და ინტერპრეტირება. ეს მეტაფორებია: „ტექსტი", „არენა" და „პერფორმანსი". „ტექსტის მეტაფორა" გულისხმობს მემორიალების ისტორიისა და იდეოლოგიის კრიტიკულ განხილვას, ისევე როგორც სივცეში აღბეჭდილი მოგონებების დინამიური ბუნების შესწავლას. „არენის მეტაფორა" აღნიშნავს მემორიალის შესაძლებლობას, აღნიშნოს სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავებული შეხედულებები ისტორიისა და მეხსიერების პროცესთან დაკავშირებით. „პერფორმანსის მეტაფორა" აქცენტს აკეთებს რიტუალებზე, რომელიც ხელს უწყობს მომავალი თაობებისთვის ისტორიის, მემორიალის მნიშვნელობისა და დანიშნულების გადაცემას. (Owen J. Dwyer, Derek H. Alderman, 2008)

შენობები ბევრ რამეზე მეტყველებენ. მათი საშუალებით შესაძლებელია ურბანული გარემოს უკეთ შესწავლა. ისინი მიგვითითებენ როდის დაიწყო განვითარება ამა თუ იმ ადგილას, როგორი ტემპით მიმდინარეობდა ის, ვისთვის იყო განკუთვნილი ეს ადგილი, ამჟამად რა დანიშნულება აქვს, რა ცვლილებები განიცადა და რა შეიძლება კიდევ შეიცვალოს. ამერიკელი ურბანული დიზაინერი ალან ჯეიკობსი თავის წიგნში "Looking at cities" აღწერს შენობის სხვადასხვა თვისებებსა და მახასიათებლებს და განმარტავს თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ისინი (Jacobs, 1985).

პირველი მახასიათებელია არქიტექტორული სტილი. იგი მიგვითითებს რომელ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის ესა თუ ის შენობა. არქიტექტორული სტილი დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის, ზოგი მათგანი დიდი ხნის მანძილზე გამოიყენება (შეიძლება მთელი საუკუნეც კი) და შეიძლება ვერ დაგვეხმაროს სასურველი ინფორმაციის მიღებაში, თუმცა ამისთვის კიდევ სხვა საშუალებებიც (მახასიათებლებიც) არსებობს.

მეორე მახასიათებელია შენობის აგების მიზანი. შენობის აგებულებიდან, ფიზიკური მახასიათებლებიდან, გამომდინარე შეგვიძლია დავადგინოთ მისი დანიშნულება, იქნება ეს სკოლა, საავადმყოფო თუ რაიმე სხვა ტიპის საჯარო ან კერძო დაწესებულება. თუ ერთმანეთს შევადარებთ შენობის დიზაინსა და მის დღევანდელ ფუნქციას, რაც შეიძლება მისი პირვანდელი ფუნქციისაგან განსხვავებული იყოს, შეგვიძლია დავადგინოთ თუ რა ცვლილებები განიცადა კონკრეტულმა ადგილმა. რა თქმა უნდა არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც საავადმყოფო, სკოლა და სახცოვრებელი სახლი გარეგნულად ძალიან ჰგავს ერთმანეთს (Jacobs, 1985).

არანაკლებ მნიშვნელოვანი მახასიათებელია შენობის ზომა. შენობისა და მასში შემავალი დანაყოფების ზომა მეტყველებს თუ ვისთვის აიგო ეს ნაგებობა და ვინაა მისი ამჟამინდელი მფლობელი. ეს მახასიათებელი მიუთითებს კონკრეტული ტერიტორიის განვითარების ისტორიაზე, აქ გავრცელებულ ცხოვრების სტილზე, ეკონომიკურ სტრუქტურაზე და ნაწილობრივ ადგილობრივ რეგულაციებზეც კი (მაგ. შენობის სიმაღლის შეზღუდვა). შენობის ზომა პირდაპირ მიუთითებს თუ რა რაოდენობის და ეკონომიკური მდგომარეობის მქონე მფლობელი ჰყავს მას.

შემდეგი მახასიათებელია სამშენებლო მასალა (როგორც ექსტერიერის ასევე ინერიერის). სამშენებლო მასალა მიგვითითებს იმაზე თუ ვისთვისაა ესა თუ ის შენობა აგებული, რა ტიპის მასალა გამოიყენებოდა იმ პერიოდში, როდესაც ეს შენობა აიგო, მასალის ხარისხიდან გამომდინარე რამდენად ძვირი დაჯდა, რამდენად დიდხანს გაძლებს და რამდენად მგრძნობიარეა ცვლილებების მიმართ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისეთი ადგილობრივი მახასიათებლები როგორიცაა კლიმატი, სამშენებლო მასალებზე ხელმისაწვდომობა და შესაბამისი სამშენებლო უნარებისა და

ცოდნის ქონა. სამშენებლო მასალის თვისებებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავადგინოთ თუ რა მიზანს ემსახურება მისი გამოყენება და იმ ადამიანების ეკონომიკური სტატუსი ვისთვისაც შენობა აიგო (Jacobs, 1985).

შენობის დიზაინი, რომელიც შეიძლება იყოს უნიკალური, სტანდარტულისგან განსხვავებული ან დიზაინერის მიერ შექმნილი, პირველ რიგში მეტყველებს მისი დამკვეთის ეკონომიკურ რესურსებზე, რადგან სხვებისგან განსხვავებულობა და გამორჩეულობა ყოველთვის უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე სტანდარტულობა. ხშირ შემთხვევაში, განსხვავებული დიზაინი ყურადღების მისაზიდად გამოიყენება.

შენობის მოვლა და ამჟამინდელი მდგომარეობა მეტყველებს ისევ და ისევ მფლობელის ეკონომიკურ რესურსებზე, რამდენად კარგად აქვს შემონახული შენობა. გარდა ამისა, ამით შეგვიძლია დავადგინოთ ადგილობრივი კულტურული ნიშან-თვისება, რომელიც შეიძლება მიდრეკილი იყოს ხშირი ცვლილებებისკენ ან პირიქით ძველი შენობის პირვანდელი სახით შენარჩუნებისკენ. ეს მახასიათებელი ასევე მეტყველებს იმ ადგილის სოციალურ-ეკონომიკური მგომარეობის სტაბილურობაზე ან დინამიურობაზე, სადაც შენობაა განთავსებული (Jacobs, 1985).

ჯეიკობსი ყურადღებას ამახვილებს არამარტო შენობაზე, არამედ მის ირგვლივ მდებარე ლანდშაფტის მოწყობაზეც. შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა მეტყველებს ეკონომიკურ სტატუსზე, კულტურულ ღირებულებებსა და სხვა საკითხებზე. მნიშვნელობა ენიჭება თუ როგორაა მოპირკეთებული ეზო, მოვლილი მინდვრებითაა დაფარული თუ უბრალოდ მყარი საფარითაა მოპირკეთებული.

ზემოთჩამოთვლილი მაჩვენებლების უმეტესობა გვიჩვენებს რომ მათი საშუალებით შესაძლებელია ადამიანის ეკონომიკური სტატუსისა და კულტურული ღირებულებების დადგენა. მათი უკეთ ინტერპეტირებისათვის საჭიროა ადგილობრივი კულტურული და გეოგრაფიული მახასიათებლების ცოდნა. (Jacobs, 1985)

მაშასადამე, შენობების მიერ სიმბოლოებისა და შეტყობინებების გადმოცემის და მათი აღქმისა თუ ინტერპრეტირების მრავალი ხერხი არსებობს. შედეგად, გვეძლევა საშუალება დავადგინოთ ვისთვისაა შენობა განკუთვნილი, რა ფუნქცია აკისრია მას, რა როლს თამაშობს, რა ცვლილებები განიცადა მან დროთა განმავლობაში და ა.შ. რადგან

შენობა ერთ ადგილასაა დაფუძნებული, მის ირგვლივ მყოფი გარემო კი მუდმივად ცვალებადია, შენობის სხვადასხვა კუთხით გაანალიზების შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ რა ტიპის ცვლილებები განიცადა კონკრეტულმა ადგილმა, როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით.

2. თავი. სახელმწიფოებრივი მშენებლობა ქუთაისში

2.1 ქუთაისის სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისტორიული მიმოხილვა

ქუთაისი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს და ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორიაში. მან რთული გზა განვლო სანამ 21-ე საუკუნემდე მოაღწევდა, თუმცა, მისი გარდაქმნა და სხვადასხვაგვარი სახეცვლილება დღესაც არ დასრულებულა, რაც სხვადასხვა სოციო-პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორების მუდმივი ცვალებადობის შედეგია.

სტრატეგიული მდებარეობის გამო, ქუთაისი სასურველი სამიზნე იყო ბიზანტიელებისთვის და არაბებისთვის, მონღოლებისა და თურქებისთვის, შუა საუკუნეების ფეოდალური დანაწევრების დროს კი „შინაური მტრებისთვისაც“. დღესდღეობით ქალაქს ამგვარი პრობლემა არ აქვს, თუმცა, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, რასაც მთლიანი ეკონომიკური სისტემის ჩამოშლა მოჰყვა, ქუთაისმა დაკარგა სამრეწველო ქალაქის ფუნქცია. ამჟამად მას არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი ფუნქცია და როლი, რითაც წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის წინსვლაში, ამიტომ მას უწევს სხვადასხვა სირთულეების გადალახვა თავის ხელახლა დასამკვიდრებლად.

ქუთაისის სახელმწიფოებრივი აღზევება ჯერ კიდევ VII საუკუნის ბოლოდან იწყება, როდესაც ლეონ II-მ იგი „აფხაზთა სამეფოს“ დედაქალაქად აირჩია. ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, მას წინ უძღოდა ქალაქის გაძლიერება და მისი როლის ზრდა ქვეყნის წინსვლაში. ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, დადებითად აისახა თვითონ ქუთაისზე. უქიმერიონის ციხესიმაგრე ქალაქის მთავარი ციტადელი გახდა, გაიზარდა მოსახლეობა და გაფართოვდა მეურნეობა. ქუთაისი ქართული სამეფო-სამთავროების ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებისთვის მებრძოლი ცენტრი გახდა.

ქუთაისმა სამეფო ქალაქის სტატუსი X საუკუნეშიც შეინარჩუნა, როდესაც ბაგრატ III-მ დაასრულა სამეფო-სამთავროების შემოერთება (თბილისი კვლავ არაბების ტყვეობაში დარჩა). ამან ხელი შეუწყო ქალაქის კიდევ უფრო განვითარებას, იგი ახლა უკვე წინა აზიის ერთ-ერთი მოწინავე ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქის

ტერიტორია, მოსახლეობა და ეკონომიკური წინსვლა. XI საუკუნის დასაწყისში აშენდა ქართული კლასიკური არქიტექტურის ძეგლი - ბაგრატის ტაძარი.

XI საუკუნის ბოლოდან დაღმასვლა იწყება როგორც ქუთაისის, ასევე მთლიანი საქართველოს ისტორიაში, რაც თურქ-სელჩუკიანების შემოსევას უკავშირდება. 1080 წელს მათ სხვა ქალაქებთან ერთად ქუთაისიც გადაწვეს. ქუთაისის აღდგენასა და განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა დავით აღმაშენებელი, რომელმაც ააგო გელათის მონასტერი და გელათის აკადემია. ამ დროისთვის საქართველოს საზღვრები ძალიან გაფართოვდა, რის შედეგადაც ქუთაისი ძალიან დაშორებული აღმოჩნდა მისი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრებიდან. გარდა ამისა, იმავე პერიოდში თბილისი, რომელიც ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს ცენტრს და სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილს წარმოადგენდა, გათავისუფლდა არაბთა ტყვეობიდან. ამან განაპირობა 1122 წელს სამეფო ტახტის ქუთაისიდან თბილისში გადატანა. ამ მოვლენამ შეამცირა ქუთაისის პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა, თუმცა, სამეფო ქალაქად ყოფნის თითქმის საუკუნენახევრიან პერიოდში მან მოასწრო მაღალი დონის საქალაქო ცხოვრებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბება. (ჯაოშვილი, 1989, გვ. 67-73)

საბჭოთა წლებში ქალაქის ადმინისტრაციულმა ფუნქციებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 1921 წელს იგი გახდა ქუთაისის მაზრის, 1929-30 წლებში ქუთაისის ოლქის, შემდეგ კი ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი გახდა. ამ პერიოდის ადმინისტრაციული ფუნქციების ცვალებადობას ქალაქის განვითარებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია. მისი ზრდა ძირითადად საკუთარი ეკონომიკური წინსვლის შედეგად ხდებოდა. (ჯაოშვილი, 1989, გვ. 264-265)

ქუთაისის ცენტრალური მდებარეობა, დასავლეთ საქართველოს რაიონების მიმართ, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად მოქმედებდა ქალაქის განვითარებაზე. იგი საქართველოს უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების დამაკავშირებელ კვანძს წარმოადგენდა და ეს დღემდე ასეა, რითაც მას ეძლეოდა საშუალება ეკონტროლებინა პროვინციებს შორის კომუნიკაციები და მათი მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები გამოეყენებინა, რამაც ხელი შეუწყო ქუთაისში მძლავრი და კვალიფიციური მრეწველობის ჩამოყალიბებას. ამან განაპირობა საქალაქო

კულტურული ცხოვრების განვითარება, გაიხსნა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებები, თეატრები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები და ა.შ. ქალაქს შემოემატა ახალი ტერიტორიები და მისი ეკონომიკური და კულტურული გავლენის სფერო. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს მოსახლეობის შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში. სწორედ საბჭოთა წლებში, მრეწველობის აღმავლობის პერიოდში, გახდა ქუთაისი საქართველოს მეორე ეკონომიკური ცენტრი (ჯაოშვილი, 1989, გვ. 7-8).

2.2 ქუთაისი და საქართველოს სახელმწფოებრივი მშენებლობა ოცდამეერთე საუკუნეში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქუთაისში შეწყდა წარმოება, დაიხურა საწარმოები და ქარხნები, ხალხი უმუშევარი დარჩა და ერთ დროს საქართველოს მეორე ეკონომიკურ ცენტრად წოდებული ქალაქის განვითარება დროში გაიყინა. ამან გამოიწვია მოსახლეობის გადინება ქალაქიდან, ძირითადად დედაქალაქის მიმართულებით. 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით ქუთაისის მოსახლეობა 234 ათ. ადამიანს შეადგენდა, 2002 წლის აღწერით კი 186 ათ.-მდე შემცირდა. ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთ რიგით ქალაქად იქცა. მას აღარ ჰქონდა გამოკვეთილი საქალაქო ფუნქცია, არც ეკონომიკის და არც საგანმანათლებლო კუთხით. ყველაფერმა ქვეყნის დედაქალაქში მოიყარა თავი. ქალაქის მოსახლეობა კვლავ კლებას განაგრძობს და 2014 წლის მონაცემებით 149 ათ. ადამიანს შეადგენს (საქსტატი).

2.2.1 პარლამენტის ქუთაისში გადატანა

იქედან გამომდინარე, რომ საქართველო უნიტარული ქვეყანაა და ცენტრიდან იმართება, მხოლოდ ადგილობრივების ძალისხმევა ხელჩასაჭიდს ვერაფერს მოუტანდა თვითმმართველი ქალაქის, ქუთაისის განვითარებას, ცენტრალური ხელისუფლების ნების გარეშე.

2009 წელს ქუთაისის მაჟორიტარ დეპუტატმა (2008-2012 წლებში), აკაკი ბობოხიძემ გაახმოვანა ინიციატივა პარლამენტის ქუთაისში გადატანის შესახებ, რასაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენი, მიხეილ სააკაშვილი მაშინვე დაეთანხმა (civil.ge - ახალი ამბები საქართველოდან, 2009). 2009 წლის 24 სექტემბერს ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქად გამოცხადდა. მოსამზადებელი სამუშაოები, პარლამენტის ასაშენებლად, იმავე წელს დაიწყო. პარლამენტის ქუთაისში გადატანა, მაშინდელი მთავრობის განცხადებით, ქვეყნის დეცენტრალიზაციას და რეგიონულ განვითარებას შეუწყობდა ხელს. რეგიონული განვითარების ხელშეწყობა ჯერ კიდევ ქალაქ ბათუმის აღორძინებით დაიწყო. მან შეიძინა ეკონომიკური და ფინანსური, სანაპირო ჰაბის ფუნქცია, რომელიც დღემდე წარმატებით მუშაობს. რეგიონული განვითარების ხელშეწყობის გაგრძელებას წარმოადგენდა ქუთაისის როგორც პოლიტიკური ცენტრის, სამომავლოდ, კი საქართველოს მეორე დედაქალაქის, სტატუსის მინიჭება. იქედან გამომდინარე, რომ ქუთაისი შუა საუკუნეების სატახტო ქალაქს და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭება შეგვიძლია მივიჩნიოთ როგორც ძველი სტატუსის აღდგენის მცდელობა.

პარლამენტის გადატანას წინ უსწრებდა 2007 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ჩამოყალიბება და 2008 წელს (2014 წელს კვლავ თბილისში დაბრუნდა) საქართველოს ენერგეტიკისა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2007) და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) გადატანა ქუთაისში (სემეკი). 2009 წელს გაიხსნა ქუთაისის იუსტიციის სახლი. 2010 წელს ქუთაისში განთავსდა, ასევე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალი შენობა, რომელიც ამჟამად უფუნქციოა (Top News, 2018). გარდა ამისა, 2012 წელს ახლანდელი სახით ჩამოყალიბდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური, რომელიც ქუთაისის პარლამენტის და იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ ყველაფერს კი დაემატა ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გახსნა 2012 წლის სექტემბერში (საქართველოს საჰაერო ნავიგაციის ბლოგი, 2012). სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისა და აეროპორტის განთავსება ქუთაისში, შეგვიძლია მივჩნიოთ მისი როგორც პოლიტიკურ დედაქალაქად გადაქცევის სამზადისი.

საკანონმდებლო საფუძვლის მომზადება პარლამენტის ქუთაისში გადასატანად ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო. 2011 წლის 21 ივნისის საკონსტიტუციო ცვლილების თანახმად საკანონმდებლო ორგანოს ადგილსამყოფელად ქალაქი ქუთაისი განისაზღვრა. ცვლილება ძალაში შედიოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდების შემდეგ (Civil.ge - ახალი ამბები საქართველოდან, 2011).

პარლამენტის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები ჰქონდათ მაშინდელი მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს. მაშინდელი იუსტიციის მოადგილის, დიმიტრი ძაგნიძის განცხადებით პარლამენტის გადატანა ხელს შეუწყობდა საქართველოს დასავლეთ რეგიონების კონსტიტუციურ-სამართლებრივ და ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში უფრო აქტიურად ჩართვას, ხელისუფლების შტოების დაბალანსებასა და პარლამენტის როლის ზრდას. ოპოზიციის ლიდერები ხაზს უსვამდნენ იმ დამატებით ხარჯებს, რაც პარლამენტის ქუთაისში გადატანას მოჰყვებოდა. გარდა ამისა, მიიჩნევდნენ, რომ საკანონმდებლო ორგანოს დისტანცირება შეასუსტებდა კონტროლს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა თბილისის, როგორც პოლიტიკური დედაქალაქის როლს. გარდა ამისა, გართულდებოდა დიპლომატიურ კორპუსთან ურთიერთობა, რომელიც დედაქალაქში რჩებოდა. ოპოზიცია მთავრობას ორპალატიანი პარლამენტის შექმნას სთავაზობდა, რომლის ზედა პალატაც ქუთაისში გადავიდოდა. „ქრისტიან-დემოკრატების“ მხრიდან განიხილებოდა ასევე ამ საკითხის რეფერენდუმზე გატანა, რათა თვითონ მოსახლეობას განესაზღვრა პარლამენტის ადგილმდებარეობა. თუმცა, რეგიონებს შორის დაძაბულობის გამოწვევის თავიდან აცილების მიზნით მთავრობამ რეფერენდუმზე უარი თქვა და ეს პასუხისმგებლობა პარლამენტში ჩამოყალიბებულ, საყოველთაო-სახალხო განხილვის კომისიას დააკისრა. (Civil.ge - ახალი ამბები საქართველოდან, 2011).

ორად გაიყო აზრი ქუთაისის მოსახლეობაშიც. მათი ნაწილი პარლამენტის გადმოტანას დიდი იმედებითა და მოლოდინებით შეხვდა. სკეპტიკური ნაწილი კი თავიდანვე მიიჩნევდა, რომ პარლამენტის გადმოტანით ხალხისთვის არაფერი შეიცვლებოდა და სოციალური პრობლემები კვლავ მოუგვარებელი დარჩებოდა (რადიო თავისუფლება, 2011).

2012 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისის პარლამენტში მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა. სხდომა მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა გახსნა (საქართველოს პარლამენტი, 2012). პარლამენტის პირველ სხდომას წინ უსწრებდა ქუთაისის ჯერ კიდევ დაუსრულებელი პარლამენტის შენობის გახსნა 26 მაისს. სიტყვით გამოსვლის დროს სააკაშვილმა განაცხადა, რომ ქუთაისის პარლამენტი წარმოადგენდა ახალი საქართველოს სიმბოლოს - „თანამედროვე საქართველოს მეტაფორას“, გამჭვირვალე დემოკრატიით და ძირძველი ტრადიციებით (შენობის არქიტექტურიდან გამომდინარე). მან ხაზი გაუსვა ქვეყნის ცენტრად და პერიფერიად დაყოფის აღმოფხვირს საჭიროებას, პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაციის მნიშვნელობას და რეგიონალური განვითარების აუცილებლობას, ქვეყნის უკეთ შეკავშირების მიზნით (ქუთაისის პარლამენტის გახსნა, 2012).

პარლამენტის ქუთაისში გადატანის მოვლენამ 2012 წელს საერთაშორისო მედიის ყურადღებაც მიიპყრო. ამ საკითხს სტატიები მიეძღვნა ისეთ ცნობილ გამოცემებში, როგორებიცაა „The Economist”, “CNN”, და “BBC”. მათ სტატიებში განხილულია ამ მოვლენის როგორც დადებითი მხარეები და მოლოდინები, ასევე უარყოფითი ფაქტორებიც. მოყვანილია მაშინდელი მთავრობის წევრების და მათი კრიტიკოსების მოსაზრებებიც. ყურადღებას ამახვილებენ ასევე უცნაურ, თანამედროვე ტიპის არქიტექტურაზე.

ახალი პარლამენტი წარმოადგენდა საქართველოს ამბიციებისა სიმბოლოს და წარსულის ხელახლა განსაზღვრების შესაძლებლობას. უცხოური წყაროები დადებით მხარეებში მიიჩნევდნენ ძალაუფლების დეცენტრალიზაციის მცდელობასა და ადგილობრივი (ქუთაისის) ეკონომიკის წახალისებას, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევასთან ერთად ჩამოიშალა. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მაშინდელი მინისტრის, რამაზ ნიკოლაიშვილის განცხადებით, პარლამენტის ახალი შენობა ემსახურებოდა საბჭოთა დროის არქიტექტურისგან გამოყოფას, მის უარყოფას, რაც ხელს შეუწყობდა ქართველი ხალხსი ვიზუალური განათლების დონის ზრდას (CNN, 2012).

„დიდების მემორიალის“ დანგრევას, რომელიც პარლამენტის შენობის მშენებლობას შეეწირა, ერთი მხრივ, განიხილავენ როგორც რუსეთისადმი განკუთვნილ საპროტესტო მესიჯს, მეორე მხრივ, კი ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ხსოვნისადმი უპატივცემულობას (The Economist, 2012). სტატიებში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ მშენებლობის ბიუჯეტი არ იყო გამჭვირვალე. “The Economist”-ისა და „CNN”-ის ინფორმაციით (რომელიც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მოხსენებას ეყრდნობა) მშენებლობა, რომელიც ბოლომდე არ იყო დამთავრებული, $43-45 მლნ დაჯდა, “BBC”-ის ინფორმაციით (რომელიც მას ფინანსთა სამინისტრომ მიაწოდა) კი $83 მლნ. პარლამენტის გადატანა თბილისიდან 230 კილომეტრის მოშორებით, რეგიონული განვითარების პარალელურად, აღიქმებოდა როგორც საპროტესტო ტალღების თავიდან აცილების საშუალება. საპროტესტო აქციის ერთ-ერთი ლიდერის, თამარ გურჩიანის განცხადებით, ეს ქმედება *„დაასუსტებდა პარლამენტს, იგი იქნებოდა ნაკლებად ხელმისაწვდომი და ფართო საზოგადოება ვერ შეძლებდა მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში“* (BBC, 2012).

მრავალფეროვანი მოსაზრებები გამოითქვა სტატიებში ქუთაისის პარლამენტის გარეგნულ იერსახეზე. „BBC” მას 40 მეტრიან შუშის გუმბათს გიგანტურ თვალს ამსგავსებს, თეთრ სარტყელს კი ქუთუთოს. “CNN” კი პარლამენტის შენობას სამეცნიერო ფანტასტიკის ნაყოფად მიიჩნევს.

მიუხედავად დიდი კრიტიკისა, დასავლური მედია 2012 წელს მაინც მიიჩნევდა, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა საქართველოს წინსვლაზე და აღმშენებლობაზე მიუთითებდა. ეს იყო წარსულისგან თავის დაღწევის მცდელობა.

2.2.3 პარლამენტის თბილისში დაბრუნება

კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო მსჯელობა პარლამენტის თბილისში დაბრუნებასთან დაკავშირებით. „ქართული ოცნების“ წევრის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით ქვეყნის საკანონმდებლო უწყება, მთავრობა და უზენაესი სასამართლო ერთ ქალაქში უნდა იყოს განთავსებული. რაც

ხელისუფლების უკეთ მართვას, დანახარჯების ოპტიმიზაციასა და მოქმედების ეფექტურობას განაპირობებს (კვირის პალიტრა, 2012). მიუხედავად ამისა, მმართველი პარტია არ ჩქარობდა პარლამენტის თბილისში დაბრუნებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას. რადიო „ძველი ქალაქის“ ერთ-ერთი თანადამფუძნებლის, ქეთი ბერძენიშვილის განხცადებით ამ საკითხის გაჭიანურიება 2018 წლის ოქტომბრის არჩევნებმა გამოიწვია, სადაც მმართველ გუნდს ქუთაისის მხარდაჭერა ესაჭიროებოდა (Eurasianet, 2018).

2014 წლის სექტემბერში პარლამენტმა ნაწილობრივ დაიბრუნა ძველი სამუშაო სივრცე თბილისში. პლენარული სხდომები კვლავ ქუთაისში ტარდებოდა, კომიტეტის ხსდომები კი - თბილისში. 2017 წელს მიღებულ განახლებულ კონსტიტუციაში, რომელიც ძალაში 2018 წელს პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ შევიდა, პარლამენტის ადგილმდებარეობა აღარ არის განსაზღვრული (რადიო თავისუფლება, 2018). ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, მამუკა მდინარაძის განცხადებით პარლამენტის ქუთაისში არსებობას ქალაქისთვის განსაკუთრებული ეკონომიკური სარგებელი არ მოჰქონდა. პარლამენტის თბილისში დაბრუნების გადაწყვეტილებას კი პარლამენტის ფუნქციონირების გაძლიერებას უკავშირებს, რაც მთავრობისა და პარლამენტის ერთ ქალაქში ყოფნას მოითხოვს (imedinews, 2018).

პარლამენტის თბილისში დაბრუნებით დასრულდა ქუთაისის მეორე დედაქალაქად გადაქცევის მცდელობა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, ბათუმის მოსახლეობამ რაოდენობრივად (152 ათ.) გადააჭარბა ქუთაისის მოსახლეობას (147 ათ.) (სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016).

2.3 ქუთაისის პარლამენტის შენობა - არქიტექტორული სიმბოლიზმი და პოლიტიკური დატვირთვა

ქუთაისის პარლამენტის მშენებლობა 2011-2012 წლებში მიმდინარეობდა. მშენებლობის დაწყებამდე, 2009 წელს მოხდა „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი.

მემორიალი 1982 წელს მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა ააგო, იგი ფაშიზმზე გამარჯვებას ეძღვნებოდა. მემორიალის დანგრევას ორი ადამიანი ემსხვერპლა.

ქუთაისის პარლამენტის შენობა წარმოადგენს 40 მეტრი სიმაღლის შუშისა და ფოლადის გუმბათს თავზე ბეტონის სარტყლით, რომელიც მიწამდე ეშვება და შენობის შესასვლელს წარმოადგენს. იმავე სარტყლის მეშვეობით ხორციელდება ნაგებობის ბუნებრივი ვენტილაცია. კომპლექსს მთლიანად 45 ათ. კვ. მეტრი ფართობი უჭირავს. გუმბათის შიგნით განთავსებულია დამოუკიდებელი შენობა, სადაც კაბინეტები და საკონფერენციო დარბაზები, პრესკონფერენციის ოთახები და პლენარული სხდომის დარბაზია განთავსებული. ასევე გამოყოფილია ადგილი გამწვანებული ტერასებისთვის. გარდა მთავარი შენობისა, პარლამენტის კომპლექსი მოიცავს ორ დამოუკიდებელ საოფისე შენობას, სადაც განთავსებულია ოფისები პარლამენტის პერსონალისთვის და მთავრობის სახლი, სადაც რამდენიმე სახელმწიფო მინისტრი უნდა გადმოსულიყო თბილისიდან. შენობები მწვანე მინდვრებითაა გარშემორტყმული, რომელიც ინოვაციური დიზაინის მქონე დასასვენებელ პარკად უნდა ქცეულიყო.

მრავალი მოსაზრება არსებობს პარლამენტის შენობის სიმბოლურ დატვირთვასთან დაკავშირებით. ოფიციალური ვერსიით, რომელიც სამშენებლო კომპანია „CMD Ingenieros”-ს მიერ ვრცელდება, ქუთაისის პარლამენტი წარმოადგენს იმ დიდი ცვლილებების გამოხატულებას, რაც ბოლო წლებში საქართველოში განხორციელდა. მინის გუმბათი სიმბოლურად უკავშირდება გამჭირვალე დემოკრატიულ სისტემას, ხოლო ბეტონის სარტყელი კი იმ მტკიცე ინსტიტუციონალურ პრინციპებს, რასაც ქვეყნის პარლამენტი წარმოადგენს. ეს ორი სიმბოლური თვისება გადმოცემულია როგორც სამშენებლო მასალებით, ასევე შენობის ფორმებითაც.

პარლამენტის შენობა ქუთაისის მერიის დაკვეთით აშენდა ესპანური (ვალენსია) სამშენებლო კომპანიის „CMD Ingenieros”-ს მიერ. მისი მთავარი დიზაინერები არიან ალბერტო დომინგო, კარლოს ლაზარო ფერნანდესი და ჯულიან პეტრი. მთავარი ინჟინერი - ფრანჩისკო პალაციოს კლიმენტი. პროექტის ბიუჯეტი სამშენებლო კომპანიის მონაცემების მიხედვით შეადგენს 82 მლნ. ევროს (archdaily, 2012).

მშენებლობის ხარჯებთან დაკავშირებით განსხვავებულ ანგარიშს წარმოგვიდგენს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). 2012 წელს მთავრობის შეცვლის შემდეგ, მათ გაანალიზეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროდან“ მიღებული საჯარო ინფორმაცია (რომელიც მანამდე ხელმიუწვდომელი იყო) და წარმოადგინეს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა.

ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით პარლამენტის მშენებლობაზე 2010-2012 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ 145 მლნ ლარამდე დაიხარჯა. თუმცა, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ხარჯები გაცილებით უფრო დიდი - 325 მლნ ლარი იყო. 2011 წლიდან შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მშენებლობის დამკვეთს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინადადებით.

საბოლოო ჯამში, პარლამენტის მშნებლობისთვის 2009-2012 წელებში, სავარაუდოდ, 325 მლნ ლარზე მეტი გამოიყო, აქედან 145 მლნ ლარი გადაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო დანარჩენი 180 მლნ ლარი სახელმწიფო ქონების გაყიდვისა (რომელიც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაიცა) და კომერციული საქმიანობის ხარჯზე შეგროვდა (IDFI, 2012). ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2014 დათვალა ასევე თბილისის პარლამენტის განახლებისა და მოწყობის ხარჯები, რომელმაც 22 მლნ ლაზე მეტი შეადგინა (IDFI, 2014).

ამჟამად ყოფილი პარლამენტის შენობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მფლობელობაშია. აქ იგეგმება გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის „112“-ის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და შსს-ს აკადემიის რეგიონალური ცენტრის განთავსება. საპატრულო პოლიციის მომსახურების ერთიანი ცენტრი მიაწვდის მოქალაქეებს 50-მდე სერვისს. შსს-ს აკადემიის რეგიონალური ცენტრი კი უზრუნველყოფს პოლიციელების კვალიფიკაციის ამაღლებას მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, განვითარების შემდეგ ეტაპზე

შესაძლებელი გახდება პოლიციელების მოწვევა და გადამზადება მეზობელი ქვეყნებიდანაც. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ნინო ჯავახაძის თქმით, თბილისის დანაყოფები არ გადავლენ ქუთაისში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი კადრების გადამზადებასა და მათ დასაქმებას (პირველი არხი, 2018).

3. თავი. კვლევის შედეგები და ანალიზი

3.1 კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის, ფორმალური და არაფორმალური სიღრმისეული ინტერვიუ, ჩართული დაკვირვება, და დისკურს-ანალიზი. ინტერვიუების უმეტესობა ჩატარდა 2019 წლის მაისში, ქუთაისში. გამოიკითხა როგორც ქუთაისის ყოფილი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, ასევე ყოფილი და მოქმედი მთავრობის წარმომადგენლები. რაც ემსახურებოდა ერთი და იგივე საკითხის ირგვლივ ერთი მხრივ, ადგილობრივების გამოცდილების გაზიარებას, მეორე მხრივ, კი ამ საკითხში უკეთ ჩახედული ადამიანების მოსაზრებების დაფიქსირებას. თვისობრივი კვლევის ფარგლებში ქალაქ ქუთაისში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ 15 რესპოდენტთან, რომელბიც მიზნობრივი შერჩევის პრინციპით შეირჩნენ. რესპოდენტთა ნაწილი წარმოადგენდა უშუალოდ ყოფილი პარლამენტის შენობის ირგვლივ მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე გამოკითხულთა შორის იყვნენ ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული პირები და აკადემიური პერსონალი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან. აღსანიშნავია, რომ პასუხები მცირედით, მაგრამ მაინც განსხვავდებოდა გამოკითხულთა წრეების მიხედვით. ადგილობრივებმა პირადი გამოცდილება გაგვიზიარეს, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულებმა საკუთარი მოსაზრება დააფიქსირეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, აკადემიურმა პერსონალმა კი წარსული და არსებული მდგომარეობის უფრო მრავალმხრივი მიმოხილვა შემოგვთავაზა.

ჩართული დაკვირვების ფარგლებში მოხდა ყოფილი პარლამენტის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის დათვალიერება და მისი ფოტოგადაღება, რაც დაგვეხმარება საკითხის უკეთ წარმოდგენასა და აღქმაში.

დისკურს-ანალიზი მოიცავს სხვადასხვა მეცნიერულ ნაშრომზე, სამეცნიერო სტატიებსა და პუბლიკაციებზე დაყრდნობით, მათი განხილვისა და ინტერპრეტირების გზით პარლამენტის გადატანის მოვლენის მრავალმხრივ (კომპლექსურ) ანალიზს.

3.2 თვისობრივი კვლევის შედეგების ანალიზი

თვისობრივი კველვის ფარგლებში ქუთაისსა და ნაწილობრივ თბილისში ჩატარდა სიღმისეული ინტერვიუები. რესპოდენტებმა პასუხი გასცეს საპარლამენტო დედაქალაქის ცვლილებასთან დაკავშირებულ კითხვებს. მათ შორის იყო კითხვები იმის თაობაზე თუ რა იყო პარლამენტის ქუთაისში გადატანის მიზეზები, რა მოუტანა ამან ქუთაისს. რამდენად მზად იყო ქალაქი პარლამენტის დასახვედრად და ადგილობრივებს რამდენათ სურდათ ეს. რისი მომტანი აღმოჩნდა ქუთაისისთვის საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსი. რა იყო პარლამენტის თბილისში დაბრუნების მიზეზები, რა გამოიწვია ამან. გარდა ამისა კითხვები ეხებოდა თვითონ პარლამენტის შენობასაც. რასთან ასოცირდებოდა იგი რესპოდენტებისთვის, რას ფიქრობდნენ მის ადგილმდებარეობასთან და ამჟამინდელ ფუნქციასთან დაკავშიებით.

კითხვარების დამუშავების დროს მოხდა რამდენიმე კითხვის გაერთიანება და მათი პასუხების რამდენიმე ქვეთავში წარმოდგენა.

<u>პარლამენტის ქუთაისში გადატანის მიზეზები და ამ მოვლენით გამოწვეული შედეგები.</u>

ინტერვიუებში პარლამენტის ქუთაისში გადატანის მიზეზებზე საუბრისას გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება - ოფიციალური და არაოფიციალური მიზეზები. ოფიციალურ მიზეზებად ასახელებენ სახელისუფლებლო ძალაუფლების დეცენტრალიზაციას, პოლიტიკურად გადატვირთული თბილისის განტვირთვას, ქუთაისის როგორც ძალაუფლების მეორე ცენტრის შექმნას და მის „გამოცოცხლებას“. რაც შეეხება არაოფიციალურ მიზეზს, იგი უკავშირდება მაშნდელი მთავრობის (ნაციონალური მოძრაობის) მხარდამჭერების რაოდენობის შემცირებას და წინააღმდეგობის ზრდას დედაქალაქში. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ქუთაისის მოსახლეობა, თბილისთან შედარებით, პოლიტიკურად ნაკლებად აქტიურია. ეს ფაქტი განაპირობა იმან, რომ ძირითადმა ინტელექტუალურმა რესურსებმა თავი თბილისში მოიყარა. თბილისში არსებობდა დემონსტრაციების (რომელიც ყველაზე ხშირად

პარლამენტის შენობის წინ ეწყობა ხოლმე) და პოლიტიკური არასტაბილურობის საფრთხე, ამიტომ მთავრობას ერჩივნა სახელისუფლებო აპარატების დაპირისპირების ცენტრიდან მოშორებით გადატანა, სადაც შედარებით მეტი მომხრე ეგულებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაოფიციალურ მიზეზზე ნაკლებად საუბრობდა ადგილობრივი მოსახლეობა.

რესპოდენტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ პარლამენტის გადატანის იდეა მთავრობის მხრიდან მომდინარეობდა. ნაკლები ჩართულობა იყო საზოგადოების მხრიდან. ქუთაისელებისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ უკითხავთ.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ქუთაისში არსებობამ სულ ექვსი წელი გასტანა, ამ მოვლენამ მაინც მოიტანა როგორც დადებითი, ასევე უარყოფით შედეგები. დადებითად შეიძლება განვიხილოთ, პირველ რიგში, ის, რომ მოხდა ქუთაისის, როგორც საპარლამენტო დედაქალაქის სახელის დამკვიდრება ყოველდღიურობაში. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მედიას, სადაც ხშირად ტრიალებდა ქუთაისის სახელი და მისი ახალი სტატუსი. ამან განაპირობა ქუთაისის ცნობადობის ამაღლება როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით. გარდა ამისა, ზოგი რესპოდენტი პალამენტის ქუთაისში გადატანას გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასაც ანიჭებს. იქედან გამომდინარე, რომ ჩრდილოელი მტრის, რუსეთის ტანკები ქვეყნის მთავარ მაგისტრალთან ძალიან ახლოს დგას, ნებისმიერ დროს არსებობს გზის ჩაკეტვის და ქვეყნის პარალიზების საფრთხე (რადგან ხელისუფლება მხოლოდ თბილისშია კონცენტრირებული).

ქუთაისის პოლიტიკური დედაქალაქის სტატუსი მთლიანად ქვეყნისთვის უფრო სარგებლის მომტანი იყო, როგორც ძალაუფლების გადანაწილების პრეცედენტი, ვიდრე თვითონ ქალაქისთვის. პირველ რიგში, დროის სიმცირის გამო, ვერ მოესწრო ამ სტატუსის სათანადო დამკვიდრება და მისი ქალაქზე ზემოქმედების შეფასება. გარდა ამისა, მხოლოდ პოლიტიკური სტატუსი არ არის საკმარისი, საჭიროა სხვა სფეროების განვითარებაც, რასაც უფრო დიდი დრო სჭირდება.

პარლამენტის გადატანის შედეგად ქუთაისში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ყოფილი ავტოქარხნის ადმინისტრაციულ უბანს, რომელიც ძველი ქუთაისიდან, ქალაქის ცენტრიდან მოშორებით მდებარეობს. მოხდა ტერიტორიის დასუფთავება და ჭაობის

ამოშრობა. პარლამენტის შენობასთან ერთად აქ აშენდა მთავრობის სახლი, იუსტიცია, სახელმწიფო არქივი და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შენობა, რამაც განაპირობა ამ ადგილის ინფრასტრუქტურული განვითარება. გარდა ამისა, უბანმა სხვა დატვირთვა შეიძინა, უფრო პრესტიჟული გახდა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, პარლამენტის ქუთაისში ყოფნის დროს ამ უბანში ბინის ფასებმა მოიმატა, ასევე წახალისდა მცირე ბიზნესი, ბინის გაქირავებისა და სურსათის მაღაზიების ამუშავების კუთხით. ქუთაისის პარლამენტის შენობამ ტურისტული სანახაობის მნიშვნელობაც მიიღო, ერთ-ერთი რესპოდენტის, 45 წლის ქუთაისელი მამაკაცის განცხადებით *„ტურისტს ჩამოსვლისთანავე პარლამენტისკენ მიარბენინებდნენ“.* გარკვეულწილად დაიწყო საქმიანი(MICE) ტურიზმის განვითარებაც. რაც დროთა განმავლობაში კიდევ უფრო განვითარდებოდა, დიპლომატების მიმოსვლა კი უფრო აამაღლებდა ქალაქის ცნობადობის დონეს საერთაშორისო მასშტაბით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პარლამენტის ქუთაისში გადმოტანამ ადგილობრივებს მოლოდინები გაუჩინა, მათ სტიმული და დასაქმების იმედი მიეცათ. თუმცა, რეალობას თუ შევხედავთ სიტუაცია საკმაოდ განსხვავებულია, რაც შეგვიძლია უარყოფით მხარედ მივიჩნიოთ. ბევრმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ პარლამენტარები ქუთაისში გადმოსვლის დღიდანვე განწყობილები იყვნენ უკან დასაბრუნებლად, ამასზე მეტყველებს ის ფაქტიც რომ პარლამენტის მომსახურე პერსონალი (მათ შორის დამლაგებლებიც) მთლიანად თბილისიდან იყო გადმოსული, ადგილობრივების დასაქმება კი ფაქტობრივად, არ მომხდარა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის უარყოფით აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ პარლამენტართა უმრავლესობა ბინის დაქირავების ნაცვლად სასტუმროში ცხოვრებას და იქვე კვებას ამჯობინებდა. პარლამენტის ქუთაისში მოღვაწეობის ექვსი წლის მანძილზე ქალაქი გაურკვევლობის რეჟიმში იყო, მუდმივად ელოდებოდნენ საკანონმდებლო ორგანოს თბილისში დაბრუნებას. ამის გამო არავინ რისკავდა გრელვადიანი ეკონომიკური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას. ის პროექტები რაც დაწყებული იყო (რამდენიმე სასტუმრო, რესტორანი, ბენზინგასამართ სადგური, ტელეკომპანია „იმედის“ მცირე ფილიალი) 2012 წელსვე შეჩერდა.

ქუთაისელების მხრიდან უარყოფითად იქნა ასევე აღქმული „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი, რომელსაც ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მათი თქმით, მემორიალი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის იყო და პარლამენტის შენობის აშენება მისი დანგრევის გარეშეც შეიძლებოდა.

როგორც ჩანს, პარლამენტის ქუთაისში გადატანამ შექმნა სახელისუფლებლო ძალაუფლების გადანაწილების პრეცედენტი საქართველოში. ამავდროულად, ეს ქმედება მიმართული იყო დედაქალაქში წარმოქმნილი საპროტესტო მუხტის გასანეიტრალებლად. ყოფილი ავტოქარხნის ადმინისტრაციული უბნის ინფრასტრუქტურულმა რეაბილიტაციამ და ფუნქციურმა დატვირთვამ განაპირობას მცირე ბიზნესისა და ტურიზმის წახალისება. მმართველი გუნდი თავიდანვე იყო დარწმუნებული იმაში, რომ პარლამენტის ქუთაისში ყოფნა დროებითი მოვლენა იყო, რის გამოც, დიდი მოლოდინების მიუხედავად, არ მოხდა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა პარლამენტის საქმიანობაში. რამაც დიდი იმედგაცრუება გამოიწვია ქუთაისელებში. მმართველი გუნდის სკეპტიკური განწყობისა და არასაკმარისი დროის გამო, ამ პროექტმა ვერ შეძლო საბოლოო ჩანაფიქრის განხორციელება - ექცია ქუთაისი საქართველოს მეორე დედაქალაქად.

<u>პარლამენტის შენობის ადგილმდებარეობა და მასთან დაკავშირებული ასოციაციები.</u>

როგორც მაღლა აღინიშნა ყოფილი პარლამენტის შენობა ქუთაისის გარეუბანში მდებარეობს. მის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ორი სხვადასხვა პოზიცია არსებობს. ერთი მხრივ, პარლამენტის აშენება ყოფილი ავტოქარხნის უბანში გამართლებულია, რადგან ამან მანამდე ნაკლებად დატვირთული უბნის ფუნქციური დატვირთვა გამოიწვია, უფრო მოძრავი და მიმზიდველი გახდა. ამასთან, ქალაქის ცენტრში ნამდვილად არ იყო ამ მასშტაბის შენობის ადგილი *(იხ. დანართი, რუკა #1).* ეკოლოგიური თვალსაზრისით კი ეს მშენებლობა არახელსაყრელია. გარდა იმისა, რომ ეს ტერიტორია ჭაობს წარმოადგენდა, შენობის ახლოს ჩამოედინება მდინარე ოღასკურა, რომელსაც წყალდიდობა ახასიათებს, მისი კალაპოტი ამჟამად ბეტონის კედლებშია მოქცეული.

რაც შეეხება პარლამენტის შენობასთან დაკავშირებულ ასოციაციებს, ხშირად მას სათბურს ამსგავსებენ, რაც შენობის შუშის კონსტრუქციას და ტენიან კლიმატს უკავშირდება. ასევე ამსგავსებენ ლოკოკინას, კუს და ა.შ.

გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ქუთაისის პარლამენტის შენობა სიმბოლურად ასოცირდება „ნაციონალური პარტიის“ (განსაკუთრებით მისი ლიდერის - მიხელი სააკაშვილის) მმართველობის პერიოდთან.

მიუხედავად პარლამენტის შენობის არახელსაყრელი ეკოლოგიური მდებარეობისა, იგი ასე თუ ისე დადებითი და გამართლებული აღმოჩნდა ქალაქის ურბანული განვითარების კუთხით. მისი თანამედროვე არქიტექტურისა და მასშტაბურობის გამო მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივებზე და არამარტო მათზე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტის, რომ სიმბოლური თვალსაზრისით ქუთაისის პარლამენტი „ნაციონალური მოძრაობის“ სახელს უკავშირდება. მათ მოახერხეს წარუშლელი კვალის დატოვება ისე, რომ ერთი საპარლამენტო სხდომაც კი არ ჩაუტარებიათ ახალი პარლამენტის შენობაში (ქუთაისის პარლამენტის პირველ სხდომაზე მმართველი გუნდი უკვე შეცვლილი იყო).

<u>ქუთაისის მზაობა პარლამენტის დასახვედრად.</u>

ქალაქის მზაობაში, პარლამენტის იქ გადასატანად, იგულისხმება მისი ინფრასტრუქტურული გამართულობა და სათანადო კადრების არსებობა. როგორც აღმოჩნდა, ქუთაისი არ იყო მზად პარლამენტის დასახვედრად. კადრები, ისევე როგორც ინფრასტრუქტურა არ იყო ახალი პარლამენტის შესაბამისი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შესაძლებელი იყო კადრების გადამზადება და ინფრასტრუქტურის თანდათან განვითარება, რაც დროის სიმცირის და ხელისუფლების არასათანადო განწყობის გამო ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპოდენტი, 62 წლის ქუთაისელი მამაკაცი აღნიშნავს, რომ გასული საუკუნის „*70-80იან წლებში ქუთაისი იყო კადრების სამჭედლო*“ და სწორედ აქედან ხდებოდა დედაქალაქის კვალიფიკაციური კადრებით

უზრუნველყოფა. რაც იმას ნიშნავს, რომ ქუთაისს ამის პოტენციალი დღემდე აქვს. ზოგიერთი რესპოდენტის განცხადებით ქუთაისს ჰყავდა სათანადო კადრები, თუმცა ისინი პარლამენტამდე არავინ „მიუშვა“. ადგილობრივებს არ მისცეს იქ დასაქმების საშუალება, რადგან ხელისუფლება მიიჩნევდა, რომ საკანონმდებლო ორგანო მალევე დაბრუნდებოდა დედაქალაქში.

რაც შეეხება ადგილობრივების სურვილს პარლამენტის ქუთაისში ყოფნასთან დაკავშირებით, ძირითადად, ორი პოზიცია გამოიკვეთა. ქუთაისელთა უმეტესობა დადებითად შეხვდა ამ ამბავს, რადგან მათ ქალაქის განვითარებისა და გამოცოცხლების იმედი გაუჩნდათ. თუმცა, ქუთაისის აკადემიური წრის ზოგიერთი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანა უგუნური ნაბიჯია. მათი აზრით, იმ თანხით, რაც პარლამენტის მშენებლობისთვის დაიხარჯა ქალაქისთვის ბევრი სხვა სასიკეთო რამის გაკეთება შეიძლებოდა, თუნდაც, წყალმომარაგების სისტემის გამართვა ან საწარმოს აშენება. გარდა ამისა, ქუთაისელების ნაწილი თვლის, რომ ინტელექტუალური პოტენციალი ძირითადად თბილისშია თავმოყრილი. აკადემიური წრის წარმომადგენელი ერთ-ერთი რესპოდენტის, 53 წლის ქალბატონის განცხადებით: *„რადგან მოსახლეობას არ უნახავს პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში ხელისუფლების რეგიონული გადანაწილების, ეს შეუძლებლად მიაჩნიათ. მენტალურად ვერ უშვებენ, რომ ხელისუფლება, ინტელექტუალური პოტენციალი გადანაწილებულ იქნას რეგიონულად.“* რა თქმა უნდა, იყვნენ ადამიანები, ვისთვისაც არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა პარლამენტის ქუთაისში გადატანას და თავიდანვე მიიჩნევდნენ, რომ ეს არაფრის მომტანი იქნებოდა ქალაქისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი მზად არ იყო ამხელა მასშტაბის ცვლილებებისთვის, მას გააჩნდა ინტელექტუალური პოტენციალი და ინფრასტრუქტურული განვითარების შესაძლებლობა. ადგილობრივების სხვადასხვაგვარი განწყობა პარლამენტის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით იმაზე მიუთითებს, რომ ეს საკითხი შეგვიძლია მრავალმხრივ განვიხილოთ. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ქვეყნის ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება და არა ადგილობრივი მოსახლეობისას.

<u>პარლამენტის თბილისში დაბრუნების მიზეზები და ზეგავლენა ქუთაისზე.</u>

პარლამენტის თბილისში დაბრუნების მიზეზებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს. პირველ რიგში, მათ შორის შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო დანახარჯები, რაც პარლამენტარების გადაადგილებასა თუ მათ ქუთაისში განთავსებას უკავშირდებოდა. ახალმა მთავრობამ გადაწყვიტა პარლამენტის თბილისში გადმოტანის გზით შეემცირებინა სახელმწიფო ხარჯები. გარდა ამისა, საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში განთავსების შედეგად შეფერხდა მისი კონტაქტი ქვეყნის მთავრობასთან, რაც ხელს შეუშლიდა მთავრობის სწრაფ ფუნქციონირებას. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე ახალი სახელისუფლებო ძალის („ქართული ოცნების“) „რევანში“ ძველი ხელისუფლების მიმართ, რითაც ხაზი გაესვა პარლამენტის ქუთაისში გადატანის აბსურდულობას. ერთ-ერთი რესპოდენტი, 53 წლის ქუთაისელი ქალბატონის თქმით, პარლამენტის თბილისში დაბრუნება *„ქართული ოცნების ისტერია!“* იყო. გამოიკვეთა ის ფაქტორიც, რომ პარლამენტარებისთვის მოუხერხებელი იყო შორ მანძილზე თითქმის ყოველდღიური გადაადგილება. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მათ ყველანაირი ფინანსური პირობა ჰქონდათ შექმნილი, რათა ქუთაისში შედარებით ხანგრძლივად დარჩენილიყვნენ (თუნდაც 4 წლით), თუმცა, მათი უმრავლესობა წინ და უკან სიარულს ამჯობინებდა.

პარლამენტის თბილისში დაბრუნება არ ყოფილა ქუთაისისთვის დიდი ზიანის მომტანი, რადგან მისი იქ არსებობის მოკლე პერიოდში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არაფერი მოუტანია ქალაქისთვის. რა თქმა უნდა, ამით ქუთაისმა დაკარგა განვითარების შანსი. შემცირდა მისი ჩართულობა პოლიტიკურ დღის წესრიგში (საქმიანობაში). საფრთხე დაემუქრა პარლამენტის შენობის ირგვლივ აღმოცენებულ მცირე ბიზნესს და მოხდა ყოველდღიური დანახარჯების გადინება ქუთაისიდან.

პარლამენტის თბილისში დაბრუნება არ იქნა მწვავედ აღქმული ქუთაისელების მხრიდან. თუმცა, მათი უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ქალაქს სჭირდება ალტერნატიული პროექტი, რათა არ შეწყდეს ქალაქის ზრდა-განვითარება.

პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის შედეგად მნიშვნელობის რიგით მეორე ქალაქი საქართველოში ხელახლა დადგა გამოწვევის წინაშე. მან კიდევ

ერთხელ დაკარგა „დედაქალაქის“ წოდება და ახლა მზად არის ახალი ფუნქცია შეიძინოს, ან დაიბრუნოს ძველი (მაგ. სამრეწველო, საგანმანათლებლო).

<u>ყოფილი პარლამენტის შენობის ამჟამინდელი ფუნქცია.</u>

დღესდღეობით კითხვის ნიშნის ქვეშ დგას პარლამენტის შენობის გამოყენების საკითხი, რომლის შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება. სპეციფიკური არქიტექტურიდან და ოთახების განლაგებიდან გამომდინარე რთულია მისი მრავალმხრივი გამოყენება. ამჟამად შენობა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა, რომელიც მასში პოლიციის რამდენიმე სტრუქტურის განლაგებას აპირებს. ამის შესახებ ქუთაისელები ნაკლებად არიან ინფორმირებული.

ინტერვიუების ჩატარების დროს გამოიკვეთა ყოფილი პარლამენტის შენობის ფუნქციური დატვირთვის რამდენიმე ვარიანტი. მათ შორის აღსანიშნავია კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია. მისი როგორც (საერთაშორისო მასშტაბების) საკონფერენციო სივრცედ გამოყენება ხელს შეუწყობდა საქმიანი (MICE) ტურიზმის განვითარებას, ასევე იყო ბავშვთა გასართობი პარკის მოწყობის იდეა, ან მისი როგორც საკონცერტო დარბაზისა და თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო სივრცის გამოყენება.

3.3ჩართული დაკვირვების შედეგების ანალიზი

ადგილობრივი დაკვირვების ფარგლებში მოხდა პარლამენტის შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიების დათვალიერება და ფოტოგადაღება, რის საფუძველზეც შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოფილი პარლამენტის შენობა ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში, ყოფილი ავტოქარხნის დასახლებაში მდებარეობს. მის მარცხნივ, მიყოლებით განთავსებულია სხვადასხვა სამთავრობო ორგანოები: მთავრობის სახლი, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, იუსტიციის სახლი *(იხ. დანართი, რუკა #2).* იქვე მდებარეობს ქუთაისის ცენტრალური არქივიც. ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის მქონე

შენობების ერთად თავმოყრა იმაზე მიუთითებს, რომ ამ უბანს ჰქონდა შესაძლებლობა გამხდარიყო ქალაქ ქუთაისისა და ნაწილობრივ, მთლიანად საქართველოს პოლიტიკური ცენტრი. თუმცა, ამჟამად ავტოქარხნის დასახლება მიტოვებული უბნის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს, ვიდრე პოლიტიკური ცენტრისა.

ყოფილი პარლამენტის შენობა ზემოთ ჩამოთვლილი ნაგებობებიდან ყველაზე მასშტაბური და გრანდიოზულია. ირგვლივ მოუვლელი მინდვრებით, გამხმარი ნარგავებით, ამომშრალი აუზით, დაჟანგული სკამებითა და სანაგვე ყუთებით რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთ დროს განვითარების შესაძლებლობის მქონე ადგილი ახლა მიტოვებულია და მისთვის არავის სცალია *(იხ. დანართი, ფოტო #1 და ფოტო #2).* მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის ბოლომდე დასრულებული, შენობის უკან დარჩენილია მემორიალის ნანგრევები. შენობის უკანა ნაწილი გარშემორტყმულია ტრიალი მინდვრებით, უფრო მოშორებით კი მცირე ტყიანი ტერიტორიით. პარლამენტის შენობის წინ, ირგვლივ ჩაბეტონებულ კალაპოტში, მიედინება მდინარე ოღასყურე, რომელსაც ამჟამად დაბინძურებული არხის სახე აქვს.

პარლამენტის გვერდით მდებარეობს ყოფილი მთავრობის სახლი, სადაც სახელმწიფო მინისტრები უნდა გადმოსულიყვნენ და თავიანთი საქმიანობა წარემართათ. თუმცა, აქ მხოლოდ ერთი სხდომა ჩატარდა, 2012 წლის დეკემბერში კი მთლიანად დაიხურა.

მიმდებარე შენობებისგან განსხვავებით, სიცოცხლის ნიშანწყალი შეინიშნება აუდიტის სახელმწიფო სამსახურის შენობაში. თანამშრომლების რაოდენობის შემცირების მიუხედავად იგი მაინც განაგრძობს ფუნქციონირებას. იუსტიციის სახლი კი ამ ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ადგილია, მისი საჭიროებიდან გამომდინარე.

ყოფილი პარლამენტის შენობის მოპირდაპირე მხარეს საცხოვრებელი კორპუსებია განთავსებული. ეს ტერიტორია საკმაოდ განაშენიანებული და დასახლებულია. პარლამენტის შენების დროს მოხდა მათი ფასადების განახლება (სამი კორპუსი ჩასმულია რკინის ჟალუზების მაგვარ კონსტრუქციაში), რასაც უკვე სიძველის კვალი დასტყობია *(იხ. დანართი, ფოტო #3).* საცხოვრებელი კორპუსების პირველ სართულზე

განლაგებულია სურსათის რამდენიმე მაღაზია და საცხობი, ტაქსების გაჩერებაც იქვეა. აქ არ შეინიშნება რაიმე განსაკუთრებული ეკონომიკური აქტივობა.

რაც შეეხება გზებს, აბაშიძის ქუჩაზე სამანქანო გზა გამართულია. ფეხით სავალი ნაწილი კი ნაწილობრივაა გაკეთებული, პარლამენტის შენობის მხარეს. ასევე, ტერიტორიაზე გვხვდება რამდენიმე ავტობუსის მოძველებული გაჩერება. ქალაქის ცენტრიდან ამ ქუჩაზე მოხვედრა მარტივია, როგორც პირადი ავტომობილით, ასევე სამარშრუტო ტაქსებით, ნაკლებად ხელსაყრელია ავტობუსი.

შეიძლება ითქვას, რომ ყოფილი პარლამენტი და მის ირგვლივ მდებარე შენობები ამოვარდნილია ქუთაისის ურბანული არქიტექტურის კონტექსტიდან. ქალაქში საერთოდ არ გვხვდება ამგვარი თანამედროვე ტიპის, შუშით მოპირკეთებული და გრანდიოზული მასშტბების მქონე ნაგებობები. ეს იყო ახალი სიტყვა ქალაქის განაშენიანებაში. ნათლად ჩანს, რომ მათ გაცილებით მასშტაბური, სახელმწიფო დონის, მნიშვნელობა ჰქონდათ.

4 თავი. კვლევის შედეგების ანალიზის შეჯერება თეორიულ მიდგომებთან

აღნიშნულ თავში განხილული იქნება ნაშრომში მოყვანილი კვლევის შედეგებისა და ლიტერატურის მიმოხილვაში განხილული თეორიული მიდგომების ურთიერთკავშირი. რის საფუძველზეც უკეთ შევძლებთ მიგნებების ჩამოყალიბებასა და დასკვნის გამოტანას.

პარლამენტის ქუთაისში გადატანის ფაქტმა ნამდვილად განამტკიცა ზემოთ მოყვანილი თეორია იმის შესახებ, რომ ფიზიკური გარემო და ურბანული ლანდშაფტი მმართველი ძალის მხრიდან ხშირად გამოიყენება ხალხზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ძალაუფლების, ახალი შეხედულებებისა თუ იდეოლოგიის გამოსახატავად.

პარლამენტის გადატანა ქუთაისში და მისი მეორე დედაქალაქად გადაქცევის იდეა ემსახურებოდა ახალი ეროვნული ნარატივის ჩამოყალიბებას - „ახალი საქართველო“, რაც მოიაზრებდა საქართველოს საბჭოური ელემენტების გარეშე. პარლამენტის ახალი შენობით უნდა მომხდარიყო ეროვნული იდენტობის სიმბოლიზება. იგი უნდა ყოფილიყო ახალი საქართველოს სიმბოლო. ამასთანავე პარლამენტის შენობა, არქიტექტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე, ხაზს უსვამდა მაშინდელი მთავრობის იდეოლოგიას, რომელიც „გამჭვირვალე“ დემოკრატიის გატარებასა და მტკიცე ინსტიტუციონალური პრინციპების შენარჩუნებას უკავშირდებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფიზიკური გარემოს გამოყენება დიდ ზეგავლენას ახდენს სამიზნე ჯგუფზე, ამ შემთხვევაში ქუთაისის მოსახლეობაზე, რაც ხელს უწყობს კოლექტიური იდენტობის წარმოჩენასა და მოქალაქეების მიკუთვნებულობის გრძნობის განმტკიცებას.

პარლამენტის გადატანამდე ქუთაისი წარმოადგენდა ერთ-ერთ რიგით ქალაქს, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად საკუთარი ფუნქცია დაკარგა და განვითარება შეწყვიტა (ისევე როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის ბევრმა სხვა ქალაქმა). საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებით, რიგი სახელმწიფო ინსტიტუტების ქუთაისში ჩამოყალიბებითა და მათი ნაწილის თბილისიდან გადმოტანით, განახლდა ქალაქის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. რაც მისი მეორე დედაქალაქად გადაქცევის

სამზადისს წარმოადგენდა. ამაზე მიუთითებს ისიც რომ ქუთაისში განვითარება დაიწყო დედაქალაქისთვის დამახასიათებელმა არქიტექტურულმა და იკონოგრაფიულმა მახასიათებლებმა, რომლის ძირითადი ელემენტებიც სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის შენობა-ნაგებობების აგებასა და ურბანული სივრცის პოლიტიზაციას მოიაზრებს.

სავარაუდოა, რომ საპარლამენტო დედაქალაქად ქუთაისის განსაზღვრისას გადაწყვეტილებაზე გარკვეულწილად იმ ფაქტმაც იმოქმედა, რომ იგი ოდესღაც საქართველოს გამაერთიანებელ დედაქალაქს წარმოადგენდა. საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭება კი ძველი სტატუსის ნაწილობრივ აღდგენას ემსახურებოდა. წარსულიდან გამომდინარე ქუთაისი შეგვიძლია „ბუნებრივი“ დედაქალაქების რიგს მივაკუთვნოთ. თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან მისთვის საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭება ცოტა არ იყოს ხელოვნური გამოდგა, რის გამოც პარლამენტი კვლავ თბილისს დაუბრუნდა. პარლამენტის ქუთაისში გადატანას შეგვიძლია მივუსადაგოთ ლოურენს ვეილის მიერ ჩამოთვლილი რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც შეიძლება ესა თუ ის ქალაქი დედაქალაქად შეირჩეს. ამ ფაქტორებს შორისაა რეგიონულ განვითარებაზე გავლენის მოხდენის სურვილი და გეოპოლიტიკური სტრატეგია, სახიფათო საზღვრებიდან განრიდების თვალსაზრისით. აღნიშნული ქმედება წარმოადგენდა ძალაუფლების დეცენტრალიზაციის პრეცედენტს და კიდევ ერთი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

საინტერესოა ქუთაისის მეორე დედაქალაქად ქცევის მცდელობის შედარება ასე თუ ისე წარმატებულად განხორციელებულ მაგალითებთან, რუსეთში, თურქეთსა და ყაზახეთში. რუსეთში და თურქეთში ქუთაისის მსგავსად დედაქალაქის (ჩვენს შემთხვევაში საპარლამენტო დედაქალაქის) შეცვლის ინიციატივა მთლიანად მთავრობიდან მოდიოდა და ახალი იდეოლოგიის (პროდასავლური სანქტ-პეტერბურგის შემთხვევაში და ნაციონალისტური ანკარის შემთხვევაში) გატარების სურვილით იყო განპირობებული. როგორც აღინიშნა ქუთაისის ახალი პარლამენტიც საბჭოური წარსულიდან დახსნის და გამჭვირვალე დემოკრატიის სიმბოლოს წარმოადგენდა. ქუთაისის შემთხვევა კიდევ უფრო ახლოსაა ყაზახეთის დედაქალაქის შეცვლის შემთხვევასთან. ორივე შემთხვევაში გვხვდება რეგიონული განვითარების, ეკონომიკური წინსვლის და გეოპოლიტიკური სტრატეგიის ფაქტორები. თუმცა, ყაზახეთისგან

განსხვავებით ქუთაისის საპარლამენტო დედაქალაქად ქცევის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რაც შეგვიძლია ამ საკითხისადმი მთავრობის გულგრილ განწყობას მივაწეროთ.

ქუთაისის პარლამენტის შენობა შეგვიძლია პოლიტიკური არქიტექტურის ჭრილში განვიხილოთ. ამაში დაგვეხმარება ნელსონ გუდმენის მიერ ჩამოყალიბებული ხერხები, რაც გვეხმარება შენობისა და მისი სიმბოლური ურთიერთკავშირის დადგენაში. დენოტაციის თვალსაზრისით პარლამენტის შენობა გამჭვირვალე წყლის წვეთს მოგვაგონებს (ზემოთ მოყვანილია სხვა შედარებებიც), რომელსაც ზემოდან თეთრი სარტყელი აქვს შემორტყმული. მეორე ხერხის „exemplification”-ის თანახმად ქუთაისის პარლამენტის შენობა წარმოადგენს გამორჩეული არქიტექტურის მქონე ნაგებობას, რომლის მსგავსიც არ გვხვდება მთელს ქალაქში. ამის გამო ის დიდ ყურადღებას იქცევს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მეტაფორული გამოხატვის აღქმის თვალსაზრისით, შენობის არქიტექტურიდან გამომდინარე, გამოკვეთილია ისეთი თვისებები როგორიცაა გამჭვირვალობა და სიმტკიცე. “Mediated reference”-ის მიხედვით ქუთაისის პარლამენტი განასახიერებს ახალი, დემოკრატიული საქართველოს სიმბოლოს.

პარლამენტის შენობის სიმბოლური მნიშვნელობის კიდევ უფრო კარგად გააზრებაში დაგვეხმარება მისი განხილვა, დოუერისა და ალდერმანის მიერ შემოთავაზებული, სამი მეტაფორის საშუალებით: „ტექსტი“, „არენა“ და „პერფორმანსი“. მეტაფორა „ტექსტი“, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხაზს უსვამს ნაგებობის ისტორიულ და იდეოლოგიურ მნიშვნეობას, რაზეც ამავე თავში უკვე ვისაუბრეთ. „არენა“ ნაგებობას განსაზღვრავს როგორც დაპირისპირების არეალს სხვადასხვა ინტერესების მქონე სოციალურ ჯგუფებს შორის. ხოლო „პერფორმანსი“ მოიაზრებს ღონისძიებებს, რომლებიც ნაგებობის უკვდავყოფას ემსახურება. ქუთაისის პარლამენტის შენობა ნაკლებად შეესაბამება ბოლო ორი მეტაფორას. პარლამენტის ქუთაისში არსებობის მანძილზე იგი არ წარმოადგენდა დაპირისპირების არეალს, ან რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძელს, განსხვავებით თბილისის პარლამენტის შენობისა, სადაც ხშირად იმართება სხვადასხვა ტიპის აქციები და ღონისძიებები, რაც ამ შენობის დიდ მნიშვნელობას უსვამს ხაზს.

ალან ჯეიკობსის მიერ შემოთავაზებული შენობის მახასიათებლების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია უკეთ გავაანალიზოთ თუ რაზე მეტყველებს ქუთაისის პარლამენტის შენობა და რა ცვლილებები განიცადა ქუთაისის ურბანულმა გარემომ. ჯეიკობსის შენობის მახასიათებლებიდან აღსანიშნავია არქიტექტორული სტილი, შენობის დიზაინი, შენობის ზომა, შენობის აგების მიზანი, სამშენებლო მასალა, შენობის მდგომარეობა (რამდენად კარგადაა შემონახული) და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა.

არქიტექტურული სტილით, შუშისა და ფოლადის კონსტრუქციით, ქუთაისის პარლამენტის შენობა თანამედროვე ნაგებობაა. მისი ფუტურისტული და არატრადიციული დიზაინი დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ყურდღებას იქცევს მისი მასშტაბურობა, რაც მის სიდიადესა და დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ შენობა სახელმწიფო მიზნებისთვის აიგო. სამშენებლო მასალად გამოყენებული შუშა, ფოლადი და ბეტონი, როგორც აღმოჩნდა, არ შეესაბამება იქაურ ბუნებრივ გარემოსა და კლიმატს. ჭაობიან, მოშიშვლებულ ვაკეზე შუშის გუმბათის აღმართვამ და სავენტილაციო სისტემის გაუმართაობამ სათბურის ეფექტი გამოიწვია, რაც ჯანმრთელობის პრობლემებს და დიდ დისკომფორტს იწვევს შენობაში მყოფთათვის. ადგილობრივი დაკვირვების შედეგად ნათელი გახდა, რომ შენობის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობა არც ისე სახარბიელოა. ინფრასტრუქტურა მოძველებულია, ბუნება მოუვლელი და შენობის ფასადები შესაკეთებელი.

ქუთაისის პარლამენტის შენობამ გავლენა იქონია ქალაქის ურბანულ გარემოზე. განავითარა იქამდე მივიწყებული, ერთ-ერთი გარეუბანი. თუმცა, ახლა ამ უბანში გავლის დროს რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ დაწყებული განვითარება შუა გზაში შეჩერდა და ყველაფერს სიძველის კვალი დაეტყო.

დასკვნა

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მიზანი იყო, ქართული და უცხოური ლიტერატურული მასალის დამუშავებისა და თვისობრივი კვლევის ანალიზის საფუძველზე წარმოეჩინა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანა და რა გავლენა იქონია მასზე საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებამ, შემდეგ კი პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნებამ.

ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო დედაქალაქის ადგილმდებარეობისა და შენობის ცვლილება ახალი იდეოლოგიის გატარების, ეროვნული იდენტობის გარდაქმნისა და ახალი ეროვნული ნარატივის ჩამოყალიბების სურვილს უკავშირდებოდა.

ქუთაისში ჩატარებული თვისობრივი კველვის ანალიზისა და ადგილობრივი დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია შემდეგი ძირითადი დასკვნები და მიგნებები ჩამოვაყალიბოთ:

- საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭება წარმოადგენდა ძალაუფლების დეცენტრალიზაციის პრეცენდენტს;
- პარლამენტის ქუთაისში გადატანის მიზეზებზე საუბრისას გამოიკვეთა როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური მიზეზები. ერთი მხრივ, დეცენტრალიზაცია და რეგიონალური ეკონომიკის განვითარება, მეორე მხრივ კი დედაქალაქში დაგროვილი საპროტესტო მუხტის განეიტრალება;
- პარლამენტის ქუთაისში გადატანამ სტიმული და მომავლის იმედი მისცა ხალხს;
- საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებამ აამაღლა ქუთაისის ცნობადობა ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით;
- მიუხედავად ადგილობრივების თავდაპირველი მოლოდინებისა, რომ საკონონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანა სარგებელს მოიტანდა დასაქმების კუთხით, ეს ასე არ მომხდარა;

- სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების თავმოყრამ ქუთაისის ერთ-ერთ გარეუბანში განაპირობა ამ უბნის ახალი ფუნქციური დატვირთვა და მისი ინფრასტრუქტურული განვითარება;
- კადრებისა და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით ქუთაისი მზად არ აღმოჩნდა პარლამენტის დასახვედრად, თუმცა, არსებობდა ამისთვის საჭირო (პოტენციური) რესურსი, რომლის გამოყენებაც არ მოხდა;
- თანამედროვე და განსხვავებული არქიტექტურის დამსახურებით, პარლამენტის შენობა სიახლეს წარმოადგენდა ქუთაისის ურბანული არქიტექტურისთვის;
- პარლამენტის ექვს წლიანი მოღვაწეობა ქუთაისში არ აღმოჩნდა საკმარისი საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის დასამკვიდრებლად და იმის განსასაზღვრად თუ რა ზეგავლენა მოახდინა ამ სტატუსმა ქალაქზე;
- პარლამენტის თბილისში დაბრუნების მიზეზი, ერთი მხრივ იყო ზედმეტი დანახარჯები და მთავრობის ფუნქციონირების შეფერხება. მეორე მხრივ, კი „ქართული ოცნების“ მხრიდან „ნაციონალური მოძრაობისადმი“ რევანშის აღების სურვილი. პარლამენტის დედაქალაქში დაბრუნებაში დიდი როლი ითამაშა ასევე მთავრობის უარყოფითმა განწყობებმა პარლამენტის ქუთაისში დატოვებასთან დაკავშირებით;
- პარლამენტის თბილისში დაბრუნებით ქუთაისმა დაკარგა პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბებისა და განვითარების პერსპექტივა. მის წინაშე კვლავ დგას გამოწვევა - ახალი ფუნქციის შეძენის, ან ძველი ფუნქციის განახლების სახით.

ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიგნება აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ 6 წელი არ აღმოჩნდა საკმარისი საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭებით გამოწვეული მოლოდინების გასამართლებლად. ქუთაისი საპარლამენტო დედაქალაქის ნაცვლად პარლამენტის დროებით მასპინძელ ქალაქად იქცა. იქედან გამომდინარე, რომ პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი თავდაპირველ წლებშივე შეჩერდა, ადგილობრივებმა ვერ მიიღეს მნიშვნელოვანი სარგებელი დასაქმების, გრძელვადიანი ბიზნესის შესაძლო წამოწყების და სხვა მიმართულებით. შედეგად პარლამენტის თბილისში დაბრუნებაც არ იყო მტკივნეული პროცესი.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ საპარლამენტო დედაქალაქის სტატუსის მინიჭება არ აღმოჩნდა ცალსახად დადებით ან უარყოფით ქუთაისისთვის, რადგან მცირე დროის გამო ვერ მოხერხდა ამ პროექტის ბოლომდე განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

ჯაოშვილი, ვ. (1989). *ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა).* თბილისი: "მეცნიერება".

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". (2012, 09 18). *ქუთაისის პარლამენტის გახსნა.* Retrieved from youtube: https://www.youtube.com/watch?v=y-S-Y2AYW8w&t=444s

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2012, 12 10). *IDFI.* Retrieved from IDFI ინფორმაციის თავისუფლები განვითარების ინსტიტუტი: https://idfi.ge/ge/research-11

კვირის პალიტრა. (2012, 10 8). *"კი" თუ "არა".* Retrieved from კვირის პალიტრა: https://www.kvirispalitra.ge/old/index.php?option=com_content&view=article&id=14054%3Aqkiq-thu-qaraq&catid=2%3Apolitika&Itemid=5&add=1&all=1&add_new=0&reply=0

პირველი არხი. (2018, 09 21). *1tv.* Retrieved from პირველი არხი: https://1tv.ge/news/parlamentis-shenobis-bazaze-policiis-regionuli-centris-dafudzneba-igegmeba/

რადიო თავისუფლება. (2011, 01 4). *2011 წელი, შესაძლოა, ქუთაისის წლად გამოცხადდეს.* Retrieved from რადიო თავისუფლება: https://www.radiotavisupleba.ge/a/2266914.html

რადიო თავისუფლება. (2018, 09 21). *ექვსი წლისთავზე პარლამენტი სრულად ბრუნდება თბილისში.* Retrieved from რადიო თავისუფლება: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%95%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98-%

საქართველოს პარლამენტი. (2012, 10 21). *მე-8 მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა.* Retrieved from საქართველოს პარლამენტი: http://www.parliament.ge/ge/media/axali-ambebi/8--1930.page

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2007, 11 27). *საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება.* Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/74410?publication=0

საქართველოს საჰაერო ნავიგაციის ბლოგი. (2012, 10 27). *ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გახსნა.* Retrieved from საქართველოს საჰაერო ნავიგაციის ბლოგი: https://airnav.wordpress.com/2012/09/29/%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%97%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%90-2/

სემეკი. (n.d.). *ორგანიზაციის ისტორია.* Retrieved from საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია: http://gnerc.org/ge/about/istoria/org

სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016, 04 28). *მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.* Retrieved from საქსტატი: http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

სტატისტიკის ეროვნული სამსახური. *სტატისტიკური მონაცემები იმერეთის რეგიონის შესახებ.* Retrieved from საქსტატი: https://www.geostat.ge/regions/

civil.ge - ახალი ამბები საქართველოდან. (2009, 07 20). *საკაშვილი დემოკრატიულ რეფორმებს პირდება.* Retrieved from civil.ge: https://old.civil.ge/geo/article.php?id=21539&search=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%AA

Civil.ge - ახალი ამბები საქართველოდან. (2011, 06 21). *პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე საკონსტიტუციო ცვლილება პირველი მოსმენით მიიღეს.* Retrieved from Civil.ge: https://old.civil.ge/geo/article.php?id=24222

IDFI. (2014, 10 16). *პარლამენტის შენობის განახლების ხარჯები.* Retrieved from IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი: https://idfi.ge/ge/georgian-parliament-renovation-costs

imedinews. (2018, 09 21). *პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა. შეფასებები.* Retrieved from იმედი NEWS: https://imedinews.ge/ge/saqartvelo/78301/parlamentis-qutaisidan-tbilisshi-gadmotana-shepasebebi

Top News. (2018, 12 28). *პარლამენტი, მთავრობის სახლი, კონტროლის პალატა, საავტომობილო გზების დეპარტამენტი-უფუნქციოდ დარჩენილი შენობები ქუთაისში.* Retrieved from TOP NEWS გაიგე მთავარი იმერეთში: http://topnews.com.ge/news/15443

BBC. (2012, 06 10). *Georgia sees glass parliament as symbol of future.* Retrieved from BBC: https://www.bbc.com/news/world-europe-18367472

Bekker, S.; Therborn, G. (2012). *Capital Cities in Africa.* Cape Town: HSRC Press.

CNN. (2012, june 13). *Georgia's 'sci-fi' parliament building: Vision of the future or expensive folly?* Retrieved from CNN: https://edition.cnn.com/2012/06/13/world/europe/eye-on-georgia-parliament/index.html

Eurasianet. (2018, 06 21). *With loss of parliament, Georgia's second city prepares for a downgrade.* Retrieved from euroasianet: https://eurasianet.org/with-loss-of-parliament-georgias-second-city-prepares-for-a-downgrade

Goodman, N. (1985). How Building Means. *The University of Chicago Press*, 642-652.

Jacobs, A. B. (1985). *Looking at Cities.* Cambridge, Massachusetts, London: Harvard University Press.

Koch, N. (2013). The 'heart' of Eurasia? Kazakhstan's centrally located capital city. *Central Asian Survey*, 134-147.

Mtkrchyan, N. (2017). Nation-building projects through new capitals: from St. Peterburg to Yerevan and Astana . *The Journal of Nationalism and Ethnicity*, 1-11.

Owen J. Dwyer, Derek H. Alderman. (2008). Memorial landscapes: analityc questions and metaphors. *GeoJournal*, 165-178.

Ross, K. (2012, 06 26). *archdaily.* Retrieved from architecture website: https://www.archdaily.com/247325/in-progress-new-parliament-of-georgia-cmd-ingenieros

Therborn, G. (2002). *Monumental Europe: The National Years.* Uppsala: Housing, Theory and Society .

The Economist. (2012, 06 14). *An expensive folly or an investment in the future?* Retrieved from The Economist: https://www.economist.com/eastern-approaches/2012/06/14/an-expensive-folly-or-an-investment-in-the-future

Vale, L. J. (1992). *Architecture, Power and National Identity.* London: Yale University Press.

დანართი

ფოტო #1 ქუთაისის პარლამენტი და მთავრობის სახლი

წყარო: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ

ფოტო #2 ქუთაისის პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია (ამომშრალი წყლის აუზი)

წყარო: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ

ფოტო #3 ქუთაისის პარლამენტის წინ მდებარე საცხოვრებელი ბინები

წყარო: ფოტო გადაღებულია ავტორის მიერ

რუკა #1

ქალაქ ქუთაისის განსახლება



წყარო: რუკა შექმნილია ავტორის მიერ

რუკა #2

სახელმწიფო სტრუქტურების განლაგება ქ. ქუთასიში

წყარო: რუკა შექმნილია ავტორის მიერ

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Iza Vashakidze

Political geographies of Georgia's parliamentary capital: state-building in Kutaisi

Human Geography

Thesis submitted to the faculty of the Human Geography in partial fulfillment of the requirements for the degree of master of science

Supervisor: **David Sichinava**

Assistant-professor

Tbilisi 2019